


24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

რუსეთი ჩინეთს ბაზს დროულად ვერ მიანოდებს

A7



მომავალზე გამარჯვება, ანუ ორმაგი ბოლშევიზმი

A10



ფანჯრული რაბზის კოკულარიზაციისთვის

A13



24 საათი "24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



რუსული "რეცეპტები" დასავლეთის ერთიანობის წინააღმდეგ

დინიტრი ავალიანი

რუსეთის იზოლაცია სულ უფრო ამკარა ხდება. დასავლეთის წამყვანი ქვეყნები საქართველოს დასაცავად კონსოლიდირებული პოზიციით გამოვიდნენ და საქართველოში გაერო-ს მისიის საქმიანობის შეწყვეტაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრეს. გარდა ამისა, აშშ-მ ცალსახად დაადასტურა, რომ კვლავაც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ნატო-ში ინტეგრაციას და ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებას აპირებს. მოსკოვი დასავლეთის პოზიციამ უკიდურესად გააღვიძინა. კრემლში დასავლეთს ბრალდებებს უყენებენ და საპასუხო ზომებით იმუქრებიან.

გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი წუხილს გამოთქვამს საქართველოში გაერო-ს მისიის შეწყვეტის გამო. სპეციალური განცხადება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



ფილიპ გორდონი: "აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას"

სისუსტის პოზიციიდან

"24 საათი" მკითხველს სთავაზობს რუსი პუბლიცისტისა და პოლიტოლოგის ანდრეი პიონტოვსკის სტატიას - "სისუსტის პოზიციიდან". სტატიაში ავტორი აფრთხილებს მკითხველს და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებას, რომ უახლოეს ხანებში ნებისმიერი საბაბით რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ კვლავ განახორციელებს აგრესიას, რომლის მიზანი იქნება ხელისუფლების ჩანაცვლება და საქართველოზე გავლენის განმტკიცება, შესაბამისად კი - კონტროლის აღდგენა კასპიის ზღვის ენერგომატარებლებზე.

ანდრეი პიონტოვსკი "ზრანი"

ძალიან ბევრი დამთხვევაა. ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 2008 წლის წვრთნების მსგავსად, მიმდინარე წელს კიდევ უფრო მასშტაბური წვრთნები იგეგმება, რომელსაც თავად გენერალური შტაბის უფროსი ნიკოლაი მაკაროვი უხელმძღვანელებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობები ქართველი სამხედროების მხრიდან წარმოებულ პროვოკაციებზე, - ეს რაც შეეხება დიპლომატიურ ნაწილს. რიგი "დამოუკიდებელი" ექსპერტების ინტერვიუები ქართულ-რუსული ომის გარდაუვალობის შესახებ (რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს ვერაგული თავდასხმის შედეგად დაიწყება), - ეს კი მასების ფსიქოლოგიურად მოსამზადებლად.

არმია, როგორც გასულ წელს, მზად არის ომისათვის. უფრო მეტიც, გენერლები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკოსებმა, გააჩერეს რა თბილისის მისადგომებთან, არ მისცეს სამუშაოს დამთავრების შესაძლებლობა.

აი, რას ნერდა 2008 წლის ივლისში ჟურნალისტი ანატოლი ბარანოვი: "მე ახლახან დავბრუნდი ჩრდილოეთ კავკასიიდან, ვიმყოფებოდი დონის როსტოვში, ვესაუბრე ჩრდილოეთ კავკასიის შტაბის ოფიცრებს. პარადოქსია, მაგრამ არმიას ბრძოლა სურს, თუმცა აცნობიერებენ ქვეყნის მოუმზადებლობას ომისთვის. ისინი ომში ხედავენ ქვეყნის შიდაპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას, ერის კონსოლიდაციას, ელიტების დანმენდას.

ბაზრძალაბა A2 გვერდზე

რუსული მილიტარისტული ზაფხული კავკასიონზე

ნათია მსხილაძე

29 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით რუსულ არმიამ სამხედრო წვრთნა "კავკასია 2009" გაიმართება. მასში გასულ წლის აგვისტოსთან შედარებით, გაცილებით კარგად აღჭურვილი ძალები და გაცილებით მეტი ვერტმფრენი მიიღებს მონაწილეობას. "ეს ყველაფერი ახალი ძალის დემონსტრირებას ან ახალი სამხედრო აგრესიისთვის მზადებას წარმოადგენს," - ასეთი კომენტარი გააკეთა მამუკა არეშიძემ. მისი ინფორმაციით, კავკასიონის ქედის ყველა სტრატეგიულ სიმაღლეზე რუსული ჯარის ნაწილები დგანან. "თუ ამ ტერიტორიაზე რაიმე რეალური საფრთხე არსებობს, საზოგადოებამ ამ საფრთხის შესახებ უნდა იცოდეს," - განაცხადა არეშიძემ და აღნიშნა, რომ რეალური ინფორმაციის მისაღებად მომავალ კვირას ის და პარლამენტის წევრი რუსულად კერვალისვილი შოვში ასვლას და ვითარების ადგილზე გაცნობას გეგმავენ.

"რუსული ჯარის ნაწილებს აფხაზეთიდან მოყოლებული ყვარლის მოსაზღვრე ტერიტო-

რიებამდე ყველა სტრატეგიული სიმაღლე აქვთ დაკავებული, რომელთა შორისაა ბზიფის, ქლუხორის, აილამას, ასას, არლუმის, ბეშქას, სუარგომის ხეობები," - ეს განცხადება კი "კავკასიის ხალხთა კონფედერაციის" თავმჯდომარემ ზაალ კასრელიშვილმა გააკეთა. მისივე თქმით, ამ სიმაღლეების დაკავების შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელებისთვის ტერიტორიის სიღრმეებში შემოსვლაც კი არ არის აუცილებელი.

კასრელიშვილი, თავისი ორგანიზაციის სახელით, გამოთქვამს მზადყოფნას, ვითარებიდან გამოსავლის მოსაძებნად როგორც ხელისუფლებასთან, ისე ოპოზიციასთან აწარმოოს კონსულტაციები.

პროვოკაციები წვრთნების წინ

გუმინ დღის მეორე ნახევარში მამისონის უღელხეილთან ძლიერი აფეთქება მოხდა. ამის შესახებ ქართულ მედიას პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ აცნობა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

რუსული "რაცაცაა" დასავლეთის ერთიანობის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

"აღშფოთებულნი ვართ იმის გამო, რომ რუსეთმა რეზოლუციის პროექტს ვეტო დაადო და თხუთმეტწლიანი ისტორიის მქონე მისიას ბოლო მოუღო. ეს კონფლიქტის მოწესრიგებისთვის საერთაშორისო ძალისხმევის შესუსტებას გამოიწვევს. რაც შეხება გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრ ქვეყნებს, მათი პოზიცია უცვლელია. ჩვენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ვუჭერთ მხარს," - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც აშშ, საფრანგეთი და გერმანია აწერენ ხელს.

ამ განცხადებას მოჰყვა ვაშინგტონის არაორაზროვანი მესიჯი იმის შესახებ, რომ აშშ საქართველოს მიმართ თავის პოზიციას არ დათმობს. ობამას ადმინისტრაციამ "შეაფთხო უჭერს მხარს უკრაინისა და საქართველოს უფლებას, ისწავლონ ნატო-ს წევრობისკენ," - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონმა აშშ-ს კონგრესში გამართულ მოსმენაზე გამოსვლისას.

ამავე დროს, მისი თქმით, საქართველოს და უკრაინას ალიანსში გაწევრიანებისთვის "ღრმა რეგორმების გატარება" მოუწევთ. თუმცა, ვაშინგ-

ტონი თბილისსა და კიევთან "ამ ძალისხმევის წარმართვისთვის" მუშაობს.

გორდონმა აღნიშნა, რომ აშშ ასევე "მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას." გარდა ამისა, მისი თქმით, ვაშინგტონი "შეინარჩუნებს სოლიდარობას საერთაშორისო თანამეგობრობასთან და უარს ამბობს სეპარატისტული რეგიონების აღიარებაზე."

მან ასევე განაცხადა, რომ 22 ივნისს, ვაშინგტონში, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სტრატეგიული პარტნიორობის ორმხრივი საბჭოს პირველ სხდომას გამართავენ. საბჭო იანვარში ხელმოწერილი ქარტიის შესაბამისად შეიქმნა.

როგორც გუშინ საქართველოში აშშ-ს ელჩმა ჯონ ტეფტმა განაცხადა, გორდონის გამოსვლა "სერიოზული პოლიტიკური განცხადებაა, რითიც აშშ ადასტურებს, რომ საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება."

"ეს განცხადება ადასტურებს, რომ, რაც უფრო იზრდება რუსეთის აგრესია, მისი არარაციონალური ქმედება, რომლის ბოლო აკორდი უშიშროების საბჭოში ვეტოს გამო-

ყენება იყო, მით მეტ იზოლაციაში იგდებს ის თავს," - განაცხადა, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა.

მისი თქმით, "ამით თვისობრივად უფრო ძლიერდება აშშ-ს მხარდაჭერა საქართველოსადმი. ეს არის ერთადერთი და უალტერნატივო გზა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად."

დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მხარდაჭერა კიდევ უფრო აღინიშნება კლინტონისა და ვაშაძის მომავალ შეხვედრაზე და აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა პრაქტიკული შედეგის მოტანას "ძალიან მალე დაიწყებს."

როგორც, თავის მხრივ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, გუშინდელი განცხადებები მოწმობს, რომ "არც აშშ, არც საფრანგეთი, ბრიტანეთი და გერმანია საქართველოს საკითხით რუსეთთან ვაჭრობას არ აპირებენ."

დასავლეთის ქვეყნების ამგვარ კონსოლიდირებულ პოზიციას მოსკოვმა აგრესიითა და მუქარით უპასუხა. "მოსკოვში სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ საქართველოს ხელისუფლება და მისი დასავ-

ლელი მფარველები რეგიონში ვითარების ხელახლა დესტაბილიზაციას აპირებენ", - განაცხადა "ინტერფაქსთან" ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა. მან აღნიშნა, რომ გაერო-ში დასავლეთის ქვეყნების "არაკონსტრუქციული პოზიციის" გამო "ჩვენი მოლოდინები საკმაოდ შემაშფოთებელია." მან დასავლეთი "პოლიტიკურ მანევრირებაში, შანტაჟსა და ძალისმიერი სცენარების წახალისებაში" დაადანაშაულა. "ეს გვაიძულებს სიტუაცია გავაანალიზოთ და მოქმედებების ადეკვატური ვარიანტები შევარჩიოთ," - აღნიშნა კარასინმა და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან "ახალი ავანტიურები" არ გამოიციხა.

გაერო-ს მისიის საკითხზე საუბრისას კარასინმა აღნიშნა, რომ რუსეთი დაინტერესებული იყო მისიის შენარჩუნებით, თუმცა, დასავლელი პარტნიორებისთვის "საქართველოს ვირტუალური ტერიტორიული მთლიანობა რეგიონის სტაბილურობაზე უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა."

რუსი დიპლომატის განცხადებით, მოსკოვი მოვლენათა ამგვარი "არასასურველი განვითარების" წინააღმდეგ შესაბამის "რეცეპტებს" გამოიხატავს.

რუსული მილიტარიზებული ზაფხული კავკასიონზე

პირველი გვერდიდან

"მესაზღვრებთან ერთად მამისონისკენ, რამდენიმე დღის წინ აფეთქებული ე.წ. ნიკოლოზის ხიდის მეორე მხარეს გადავყვით და ბოლო ქართული პოსტი დავათვალიერე. პოსტიდან მცირე ხნის წამოსულები ყიყავით, როცა ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. მესაზღვრეები ამ წუთებში ადგენენ, თუ რა მოხდა," - განაცხადა გუშინ დავითაიამ.

მისივე თქმით, მამისონის უღელტეხილზე რუსული დივერსიული და ოს სეპარატისტთა ჯგუფები დგანან, რომლებიც ქართული ტერიტორიის მიმართულად პერიოდულად ცეცხლს ხსნიან. სროლის შედეგად ქართველი მესაზღვრეების პოსტი დაინვა. "რუსეთი, სეპარატისტებთან ერთად, ყველანაირად ცდილობს, ქართული მხარე პროვოკაციას წამოაგოს და სამხედრო დაპირისპირება-

ში ჩაითროს. ამ ფაქტების შესახებ მსოფლიო თანამეგობრობისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას ვაპირებ," - განაცხადა დავითაიამ.

მისივე თქმით, ყოველივე ამის მიუხედავად, ქართველი მესაზღვრეები პატრულირებას საზღვრის მთელ პერიმეტრზე აწარმოებენ. "რა თქმა უნდა, მესაზღვრეების გადაადგილების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებაა, თუმცა, ისინი საზღვრამდე მთელ პერიმეტრს აკონტროლებენ," - განაცხადა პაატა დავითაიამ.

რუსული უარი რეგიონულ წვრთნებზე

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ უმაღლეს რადაში შეიტანა განკარგულების პროექტი, რომელიც შავი ზღვის აკვატორიაში სამხედრო სწავლებებს ითვალისწინებს. სწავლებებში მონაწილეობის მისაღებად უკრაინამ საქართველო და რუსეთიც მიიწვია.

სამხედრო-საზღვაო სწავლება "ნდობა - 2009", საგარეულოდ, სექტემბერში ჩატარდება. "ჩვენ საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებთან ერთად სწავლებაში მონაწილეობას არ მივიღებთ, ეს გამორიცხულია," - აღნიშნა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ პოპოვიჩინმა "რია ნივოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომელიც შავი ზღვის ფლოტშია მივლინებული, უკრაინის დატოვება მოუწევს. ეს გადაწყვეტილება უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ვალენტინ ნალივიჩენკომ "ბი-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში გაახმოვანა. "ამის შესახებ რუსული მხარე ოფიციალური არხებით უკვე ინფორმირებულია. შავი ზღვის ფლოტში რუსეთის "ფეს-ბე"-ს 19 ოფიცერი მუშაობს

და უკრაინული მხარის ინფორმაციით, ისინი სადაზვერვო საქმიანობას ეწევიან," - აღნიშნა ინტერვიუში ვალენტინ ნალივიჩენკომ.

უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფი იმედოვნებს, რომ რუსი ოფიცრების ქვეყნიდან გაშვება უკრაინულ-რუსულ ახალ სკანდალში არ გადაიზრდება.

ნალივიჩენკომ მანამდე გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ უკრაინაში უკვე შექმნილია კონტრდაზვერვის მძლავრი ქვედანაყოფი, რომელიც სიმფეროპოლში, სევასტოპოლსა და ყირიმის სხვა ქალაქებში მოქმედებს. აქედან განსაკუთრებით, უკრაინას უკვე საკუთარი ძალებით შეუძლია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და უკრაინის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლების ყოფნა საჭირო აღარ არის.

ირაკლი ალასანიამ აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა. ალასანის პრესსამსახურის ცნობით, ალასანია შეხვდა აშშ-ს თავდაცვის მდივნის მოადგილეს საერთაშორისო უსაფრთხოების სა-

კითხებში ალექსანდრ ვერშბოუს და სახელმწიფო დეპარტამენტში ევროპისა და ევრაზიის დახმარების კოორდინატორ დანიელ როზენბლუმს, რომლებთანაც რეგიონული უსაფრთხოების, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ-

სებული ვითარებისა და სამხედრო დახმარების შესახებ ისაუბრა. შეხვედრაზე მხარეებმა იმ ფინანსური დახმარების საკითხები განიხილეს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყო-

ბისთვის გაუზრდის. გარდა ამისა, ირაკლი ალასანიას შეხვედრა ჰქონდა სენატშიც. ამერიკელ სენატორ ჯეკ რიდთან "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზეც ისაუბრა.

ჯი-ეიჩ-ენი

"საქართველოს მიმართ საერთაშორისო ვითარება ქვეყნისთვის არასასიკეთოდ შეიცვალა"

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერ ფიქრია ჩიხრაძის შეფასებით, ბოლო პერიოდში საქართველოს მიმართ საერთაშორისო ვითარება ქვეყნისთვის არასასიკეთოდ შეიცვალა. "საერთაშორისო ვითარება სერიოზულად არის შეცვლილი და სამწუხაროდ, საქართველოს არასასიკეთოდ," - განაცხადა ჩიხრაძემ გუშინ "ალიანსი საქართველოსთვის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, "საქართველოს დაცვა, მისი გაძლიერება და სახელმწიფოებრივი პერსპექტივის შენარჩუნება მხოლოდ იმით არის შესაძლებელი, რომ მაქსიმალურად ვიყო ჩართული საერთაშორისო პროცესებში." **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია მოსკოვს ეწვევა

30 ივნისს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ხუთკაციანი დელეგაცია მოსკოვს ეწვევა. საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია ეკლესიის მინვეით მიემგზავრება, - ამის შესახებ დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელმა, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (მარაშენიძე) განაცხადა. "ვიზიტის მსვლელობისას, რომელიც 5 ივლისამდე გაგრძელდება, საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობების საკითხები განიხილება. ასევე შედგება საუბარი სხვა საკითხებზე," - აცხადებს მიტროპოლიტი. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დელეგაციას, საგარეულოდ, რუსეთის პატრიარქი კირილი მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ახალგორი ბლოკირებულია

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ინფორმაციით, ცხინვალის-ახალგორის გზის 58-ე კილომეტრი გადაუღებელი წვიმების გამო მთლიანად ჩაირეცხა და ცხინვალიდან ახალგორში შესვლა შეუძლებელია. ამ ინფორმაციამ განსაკუთრებით რუსი სამხედროები შეაშფოთა, რადგან ახალგორში საკმაოდ მსხვილი რუსული საოკუპაციო ნაწილია დისლოცირებული. წინასწარი ინფორმაციით, რუსები ახალგორში განლაგებულ სამხედროებს ვერტმფრენებით ამარაგებენ. **მედიანიუსი**

ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი ქართველ მინისტრებს გამოემშვიდობა

საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძესა და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელ ტერეზა ჰაკალას შორის გამოსამშვიდობებელი შეხვედრა შედგა. შეხვედრის დროს გრიგოლ ვაშაძემ გამოხატა ქართული მხარის უკიდურესი შემფოთება რუსეთის ფედერაციის იმ დესტრუქციული პოლიტიკის გამო, რომლის შედეგად ეუთო-ს და გაერო-ს მისიებმა საქართველოს ტერიტორია დატოვეს. გამოითქვა იმედი, რომ საქართველოსა და მისი ოკუპირებული ტერიტორიების საკითხში ეუთო-ს საქმიანობა გააქტიურდება და უფრო ინტენსიური გახდება. საგარეო საქმეთა მინისტრმა ეუთო-ს ელჩს საქართველოში განუხილა მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და ქალბატონ ჰაკალას პირად ცხოვრებასა და მომდევნო დიპლომატიურ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

საქართველოდან გამგზავრებამდე ტერი ჰაკალა გუშინ თავდაცვის მინისტრ ვასილ სიხარულიძესაც შეხვდა. ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა მინისტრს თავდაცვის უწყებასა და სადამკვირვებლო მისიას შორის ხანგრძლივი და ეფექტური თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა. ტერი ჰაკალამ თავდაცვის მინისტრთან წლების განმავლობაში საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სტუმარმა რუსეთის მიერ საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის საქმიანობაზე ვეტოს დადების გამო მწუხარება გამოთქვა. იგი იმედოვნებს, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც კონფლიქტურ ზონებში მონიტორინგს განახორციელებს, უფრო მეტად ეფექტური იქნება. თავდაცვის მინისტრმა თავის მხრივ სურვილი გამოთქვა, რომ გაერო-ს და ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიებმა ევროკავშირის მონიტორინგს თავიანთი მრავალწლიანი გამოცდილება გაუზიარონ. **მედიანიუსი**

22 ივნისს ჰილარი კლინტონი და გრიგოლ ვაშაძე სტრატეგიული პარტნიორობის ორმხრივი საბჭოს პირველ სხდომას დაესწრებიან

22 ივნისს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სტრატეგიული პარტნიორობის ორმხრივი საბჭოს პირველ სხდომას დაესწრებიან. ამის შესახებ კონგრესში გამართული მოსმენისას აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ფილიპ გორდონმა განაცხადა. სტრატეგიული პარტნიორობის ორმხრივი საბჭო აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული ქარტიის ფარგლებში შეიქმნა. აშშ-ში ვიზიტის შესახებ კი თავად გრიგოლ ვაშაძემ რამდენიმე დღის წინ ფილიპ გორდონთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მხარეებს შორის მთავარი განსახილველი საკითხი იანვარში გაფორმებული ქარტია და მისი კონკრეტული პუნქტები იქნება.

საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ჯონ ტეფტის ინფორმაციით, საქართველოში გაერო-ს მისიის მანდატის შეწყვეტის შემდეგ გადასადგმელი საბიჯები სწორედ აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის შეხვედრაზე განისაზღვრება. "სამწუხაროა ის ფაქტი, რომ რუსეთმა საქართველოში გაერო-ს მისიისთვის მანდატის გააძლიერება გადაწყვიტა დაბლოკა. ამის შემდეგაც გადასადგმელი ნაბიჯები კლინტონისა და ვაშაძის შეხვედრაზე განისაზღვრება," - განაცხადა ტეფტმა. **პირველი**

ლევან გოგიჩაიშვილი დააკავებს

"9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" წევრი ლევან გოგიჩაიშვილი გუშინწინ, გამთენიისას, სამართალდამცველებმა საკუთარ სახლში დააკავეს. გუშინ დილით კი ამ დაკავებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

"შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებულია 1981 წელს დაბადებული ლევან გოგიჩაიშვილი, რომელიც ეჭვმიტანილია 1991 წელს დაბადებულ დავით ლეჟავას მიმართ ცივი იარაღის გამოყენებით სხეულის მძიმე დაზიანებაში," - აღნიშნულია განცხადებაში.

ლევან გოგიჩაიშვილი 8 ივნისს, წყნეთში, ირაკლი ბათიაშვილის შვილის, ირინა ბათიაშვილის დაბადების დღეზე მომხდარ ინციდენტშია ეჭვმიტანილი. სამართალდამცველების განცხადებით, დაბადების დღიდან გამოსულ მეგობრებს შორის ჩხუბი მოხდა, რა დროსაც ირინა ბათიაშვილის მეგობარი და-

ვით ლეჟავა ცივი იარაღით - დანით დაჭრეს. იგი ამ დრომდე საავადმყოფოშია.

სწორედ ამ ფაქტის გამო ლევან გოგიჩაიშვილის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის I ნაწილით არის აღძრული, რაც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას გულისხმობს და 3-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ დაკავებული გვიან ღამითვე ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებაში მოინახულა. მოგვიანებით გო-

გიჩაიშვილი პოლიციამ "მოდულის" შენობაში გადაიყვანა, სადაც დაიკითხა კიდეც.

ადვოკატის განცხადებით, ლევან გოგიჩაიშვილი წაყენებულ ბრალდებას არ აღიარებს.

"ჩემი დაცვის ქვეშე მყოფი 8 ივნისს მომხდარ ინციდენტში მონაწილეობას გამორიცხავს," - განაცხადა დაკავებულთან შეხვედრის შემდეგ კორკოტაძემ.

ადვოკატის განცხადებას დღის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგი განცხადება მოჰყვა. სამინისტროს განმარტებით, არ-

სებობს დავით ლეჟავას წერილობითი ჩვენება, რომელშიც აღიარებს, რომ 8 ივნისს შელაპარაკების დროს იგი ლევან გოგიჩაიშვილმა დაჭრა.

შსს-მ დავით ლეჟავას დედისა და დის აღიარებითი ჩვენების ამსახველი ვიდეომასალაც გაავრცელა, სადაც დავით ლეჟავას დედა და ირინა ლეჟავა ადასტურებენ, რომ 8 ივნისს ირაკლი ბათიაშვილის ქალიშვილის დაბადების დღის შემდეგ დავით ლეჟავა ლევან გოგიჩაიშვილმა დაჭრა.

საკუთარი ინფორმაცია

სასამართლომ ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო

სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ბრალდებული, რომელსაც მკვლელობის მცდელობისთვის ჰქონდა ბრალი წარდგენილი.

საბრალდებო დასკვნით, მ. კვეკელიამ ურთიერთშელაპარაკებისას სებისკვერადქცა და ნეფედოვს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიაყენა. აღნიშნული დანაშაული კი 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა სებისკვერადქემ განაცხადა, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ არაფერი ახსოვდა, ხოლო ნეფედოვმა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება უარყო და განაცხადა, რომ მისთვის უცნობა,

ვინ მიაყენა სხეულის დაზიანება.

აღსანიშნავია, რომ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები უარყვეს მომხდარმა - ლ. ტატანაშვილმა და გ. ტიტინიძემ.

კიდეც ერთმა მოწმემ - შენი-რულმა განაცხადა, რომ დაინახა, როგორ მოუქნია ხელი მ. კვეკელიამ ნეფედოვს, თუმცა მის ხელში დანა არ დაუნახავს. რაც შეეხება სე-

ბისკვერადის დაჭრას, მოწმემ აჩვენა, რომ ეს ფაქტი მას საერთოდ არ დაუნახავს. სასამართლომ საქმე განსასჯელის მონაწილეობის გარეშე განიხილა. იგი თავს არიდებდა გამოძიებასა და სასამართლოს.

ბრალდების მხარემ განსასჯელისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. პროკურორის მოთხოვნას ბრალდების მხარის

წარმომადგენელმა, დაზარალებულმა ნეფედოვმა და მისმა ადვოკატმა მხარი არ დაუჭირეს.

სასამართლომ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ბრალდების დასადასტურებლად არასაკმარისად ჩათვალა და განსასჯელი კვეკელია წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

საკუთარი ინფორმაცია

"თეგეტა მოტორსი" საუკეთესო ბიზნეს-რეიტინგში



საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია "გორბისა" და მედია-პოლიტიკა "ჯორჯიან-თაიმსის" ტრადიციულმა ბიზნეს-რეიტინგმა 135 პრეტენდენტიდან 2008 წლის 25 საუკეთესო ბიზნეს-კომპანია გამოავლინა. ნომინაციაში - "ეფექტური მენეჯმენტი, კომპანიის ზრდა, წარმატებულობა და ახალი ტექნოლოგიები", "თეგეტა მოტორსმა" გაიმარჯვა. კომპანია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 1995 წელს გამოჩნდა, ბოლო წლების ბიზნეს-რეიტინგების სხვადასხვა ნომინაციების მუდმივი გამარჯვებულია. "თეგეტა მოტორსში" აცხადებენ, რომ კომპანიის სტაბილური წარმატების გარანტი პროფესიონალთა გუნდი და ეფექტური მენეჯმენტია. კომპანიის წარმატებების მოკლე ჩამონათვალი ასეთია: 2007 წლის მონაცემების საფუძველზე "თეგეტა მოტორსმა" გენდერული თანასწორობის სფეროში "საუკეთესო ბიზნეს-კომპანიის" წოდება მიიღო. 2009 წლის 6 მარტის მთელი საქართველოს მასშტაბით ავტობიზნესის ლიდერ კომპანიად დასახელდა, სერვისის სფეროში კი "ოქროს ბრენდის" წოდება მიენიჭა. "ჩვენ საქართველოს ბაზარზე არაერთხელ

დავამტკიცეთ ჩვენი პროფესიონალიზმი და დარწმუნებულები ვართ, რომ კომპანიის წარმატებას ბიზნესის სრულყოფილი მართვა განაპირობებს. "თეგეტა მოტორსის" მთავარი მიზანი მომხმარებლისთვის სტაბილურად მაღალი ხარისხის პროდუქციისა და კომპლექსური მომსახურების შეთავაზებაა. თითოეული მომხმარებლის ინტერესის გათვალისწინებას, მათთან ინდივიდუალურ მიდგომას და ნაკისრ ვალდებულებათა დროულ შესრულებას ჩვენი კომპანიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით "თეგეტა მოტორსმა" პროფესიონალთა ძლიერი გუნდი შექმნა, რომელიც კომპანიის ბაზრის კონიუნქტურის შესახებ საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს. მომსახურების სრულყოფისა და კომპანიაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით მუდმივად ვზრუნავთ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით ჩვენს თანამშრომლებს სპეციალურ ტრენინგებზე გვრმანისა და ავსტრიაში ვაგზავნით, სადაც ისინი ჩვენი პარტნიორების მიერ რეკომენდირებულ სასწავლო პროგრამებს ეუფლებიან. ყველაფერ ამის ლოგიკური შედეგი კი ის არის, რომ "თეგეტა მოტორსმა" საქართველოს ბაზარზე ლიდერის

პოზიციის მოიპოვა", - ამბობს "თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორი გიორგი მშვილდაძე. "თეგეტა მოტორსის" ბიზნეს-გეგმაში "ავტოექსპორტის" სახელით საქართველოს ბაზარზე 1995 წლიდან გამოჩნდა და მოკლე ხანში მსოფლიოს ცნობილი ფირმებისგან ოფიციალური დილერის სტატუსი მიიღო. ამ ეტაპზე "თეგეტა მოტორსი" 160-ზე მეტ ბრენდის საიმიდო პარტნიორია. თეგეტა მოტორსი" ჰოლდინგური კომპანიაა და მის შემადგენლობაში შედიან: "თეგეტა თრაქ ენდ ბასი" - "MAN Nutzfahrzeuge" (ემ აენ)-ის ოფიციალური პარტნიორი საქართველოში, "თეგეტა ლოჯისტიკი" - საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანია და "თეგეტა ქონსტრაქშენ ექსპერტენტი" - ბრიტანულ ბრენდ "JCB" (ჯეი სი ბი)-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. "თეგეტა მოტორსი" თანამშრომლობს ისეთ მსოფლიო მარკეტბან, როგორებიცაა: "Schmitz Cargobull", "Mitsubishi", "Honda Power Products", "Isuzu" და სხვები. "თეგეტა მოტორსის" ფილიალები და სერვის-ცენტრები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განთავსებული და მათი რიცხვი ყო-

ველწლიურად მატულობს. "თეგეტა მოტორსი" მზარდი ტემპით განვითარებას ისევ განაგრძობს: ევროპული სტანდარტების შესაბამისი სერვის-ცენტრების და ფილიალების მშენებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით ისევ გრძელდება. ამ ეტაპზე კომპანიაში 500-მდე ადამიანი დასაქმებულია. კომპანიამ ავტომობილების გაყიდვებისა და მომსახურების სფეროში საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი - ISO 9001:2000 მიიღო და მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. ეფექტური მენეჯმენტით, კომპანიის ზრდით, წარმატებულობითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით "თეგეტა მოტორსი" დაიმსახურა სხვადასხვა აღიარების მოპოვებას მომავალშიც შეეცდება.



პოლიციელის დაჭრაში ეჭვიმტანილი დააკავეს

სამართალდამცველებმა 28 მაისს, ფურცელაძის ქუჩაში მომხდარ ინციდენტში მონაწილე კიდევ ერთი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 23 წლის შალვა გოგინაშვილი დააკავეს.

გოგინაშვილი ფურცელაძის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის დაჭრაშია ეჭვიმტანილი.

"დაკავებულმა შსს-ის თანამშრომელს ზურგის არეში დანით შემაჯავრო ქრილობა მიაყენა," - ნათქვამია შსს-ის განცხადებაში. გამოძიებას სსკ-ის 19-109-ე მუხლით თბილისის მთავარი სამმართველო აწარმოებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადებაში ეჭვიმტანილები დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების დამზადების ფაქტზე ხუთი პირი დააკავეს.

შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა გილიგაშვილის განცხადებით, დაკავებულებმა სახელმწიფო თანხების მითვისების მიზნით რამდენიმე შპს შექმნეს, რომელთა შორისაა "ფაქტონი 2003," "ახალი პირამიდა," "ავტოგრაფი XXI." ისინი ფირმების სახელით 12 მილიონი ლარის ღირებულების საქონლის ყალბ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს ამზადებდნენ და ასაღებდნენ. ამის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტს 4 მილიონი ლარის ზარალი მიადგა. ამ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **მედიანისი**

დავით ფაცაციაშვილმა შიმშილობა დაიწყო

მოძრაობა "რატომ"-ის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი კორძაიას ინფორმაციით, "9 აპრილის ახალგაზრდული შტაბის" ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ფაცაციაშვილმა ციხეში შიმშილობა დაიწყო. მისი თქმით, ფაცაცია თავს უდანაშაულოდ ცნობს და ამ ფორმით გამოხატავს პროტესტს უსამართლობის წინააღმდეგ.

დავით ფაცაციაშვილი პარლამენტის შენობასთან მოწყობილი "სირცხვილის დერეფნის" დროს მომხდარ ინციდენტში მონაწილეობისთვის 12 ივნისს დააკავეს. სასამართლომ მას ადმინისტრაციული სასჯელის სახით 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. **ჯი-ეიჩ-ენი**

შიმშილობა ჩეხეთის საელჩოსთან

ნათია ხაინდრავას, რომელიც მეორე დღეა ჩეხეთის საელჩოსთან შიმშილობს საპატრულო პოლიციამ შიმშილობის შეწყვეტა და სახლში წასვლა მოსთხოვა.

"სამი მანქანით მოვიდა საპატრულო პოლიცია, ჩემი კარავი არ ვიცი, სად წაიღეს, მე კი სახლში წაბრუნდა მომთხოვეს," - ამბობს ნათია ხაინდრავა და ირწმუნება, რომ ამ დრომდე ვერ პოულობს კარავს, რომელშიც იგი შიმშილობდა. მისი თქმით, პოლიციას მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

ნათია ხაინდრავა "9 აპრილის" აქციების ორგანიზატორის, ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერის დაჩი ცაგურისას საცოლავა. ხაინდრავამ ჩეხეთის საელჩოსთან შიმშილობა 15 ივნისს საღამოს დაიწყო. მისი მიზანია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის საელჩოს დაანახოს ხალხში არსებული პროტესტი. ხაინდრავა საქართველოს შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის გადადგომას მოითხოვს. ამავდროს, ნათია ხაინდრავა ჩეხეთის ელჩს მოუწოდებს, საკუთარი სუბიექტური მოსაზრებების ჩეხეთისა და ევროკავშირის სახელით გახმაურებისგან თავი შეიკავოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაჩი ცაგურისას 30-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. პოლიციამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მის შიმშილებსაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

საგადასახადო და საბაჟო საქმეებზე საპროცესო ვადები მჭიდროვდება

სასამართლოში საგადასახადო და საბაჟო საქმეებზე საპროცესო ვადები მჭიდროვდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შედის. კანონპროექტი იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტში პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა.

კანონპროექტის თანახმად, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სასარჩელო განაცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ორ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

ამასთან, თუ განსახილველი საქმე განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა არა უმეტეს ორი თვით შეიძლება გაგრძელდეს.

სააპელაციო სასამართლოში კი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლო დავის განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ორ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

გარდა ამისა, კანონში დაზუსტდება, რომ აღნიშნულ სასამართლო დავებზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან შვიდი დღის ვადაში სასამართლო მხარეთაათვის გადასაცემად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ამზადებს.

ბია არსენიშვილი უკმაყოფილოა

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ბია არსენიშვილი ბოლო ორი თვის განმავლობაში პარლამენტის შენობის დახურვისა და საპარლამენტო კომიტეტების გასვლითი სხდომების ფორმატში მუშაობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს. ამის შესახებ მან გუშინ, პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ისაუბრა, სადაც "სახალხო დამცველის შესახებ" და "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე მეორე მოსმენა მიმდინარეობდა.

განმარტებით, მიმდინარე წლის 1 აპრილის ჩათვლით კომიტეტში შესული იყო 816 განცხადება, რომელთა დიდი ნაწილი კომიტეტის მხრიდან შესწავლილი და რეაგირებულია.

"იმის გამო, რომ ბოლო დროს კომიტეტი მუშაობას ვერ ახერხებს, ეს პრობლემა, პირველ რიგში, მოსახლეობის მდგომარეობაზე აისახება," - აღნიშნა არსენიშვილმა.

ადამიანის უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე კომიტეტებმა კანონ-

ში "პატიმრობის შესახებ" ცვლილების პროექტი მეორე მოსმენით განიხილეს. პროექტი სხვა რამდენიმე ცვლილებასთან ერთად პატიმრებისთვის ხუთდღიანი შევებულების დანესების საკითხსაც ითვალისწინებს.

შევებულება ქალებს და მოზარდებს წელიწადში სამჯერ მიეცემათ, ხოლო კაცებს - ორჯერ.

ეს კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა, თუმცა პირველი მოსმენით კენჭისყრაზე არ გაუტანიათ.

ბია არსენიშვილი მიიჩნევს, რომ ბევრი პატიმარი ცხოვრობს რეგიონებში და სახლში გამგზავრებისა და უკან დაბრუნებისათვის, შესაძლოა, მთელი დღეც კი დასჭირდეთ, ამიტომ ითხოვს იგი, მგზავრობაში დახარჯული დღეები შევებულების ხანგრძლივობაში არ ჩაითვალოს.

მიუხედავად არსენიშვილის არგუმენტისა, პარლამენ-

ტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ამ ინიციატივის განხილვას არ აპირებს. თუმცა, პავლე კუბლაშვილი აცხადებს, რომ ამაზე გაიმართება მსჯელობა და გადაწყვეტილება აზრთა შეჯერებით იქნება მიღებული.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილმა გუშინდელ სხდომაზევე განსახილველად გაიტანა "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" და "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე" კანონპროექტები, რომელიც სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მუდმივმოქმედი კომისიის დაკომპლექტების წესს განსაზღვრავს.

საკუთარი ინფორმაცია

ახალგაზრდული ორბანიზაციები პარლამენტარებს მიმართავენ

"ახალგაზრდა რესპუბლიკელებმა", მემარჯვენეების ახალგაზრდულმა ფრთამ და მოძრაობა "რატომ" ერთობლივ პრესკონფერენციაზე პარლამენტის წევრებს პოლიციის შენობასთან დამონტაჟებული ვიდეოკამერების ფირების გამოთხოვისკენ მოუწოდეს.

როგორც მემარჯვენეების წარმომადგენელმა რევაზ სოხაძემ აღნიშნა, პარლამენტარებს მინიჭებული აქვთ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ვიდეომასალის ამოღების უფლება. ეს კი, ამ შემთხვევაში, სოხაძის თქმით, პოლიციის შენობასთან 15 ივლისს განვითარებულ მოვლენებს ნათელს მოჰ-

ვენს და საზოგადოებას სრული ანალიზის საშუალებას მისცემს.

"შს სამინისტრო გვადანაშაულებს, რომ პოლიციის შენობაში ჩვენ შევიჭერთ და სავალი გზაც გადავკეტეთ. თუ ეს სიმართლეა, მაშინ შენობის ტერიტორიის პერიმეტრზე დაყენებული კამერების ჩანაწერები ამოიღონ და ბრალდებები ასე დაგვიმტკიცონ. უპირველეს ყოვლისა, ამ მასალის გამოქვეყნება პარლამენტის წევრებმა უნდა მოითხოვონ, რისი კანონიერი უფლებაც მათ პარლამენტის რეგლამენტის თანახმად გააჩნიათ," - განაცხადა სოხაძემ. მისივე თქმით, პოლიციის

მთავარი სამმართველოს შენობის კარი აქციის მსვლელობისას ღია იყო. რაც, სოხაძის შეფასებით, სამართალდამცველებისგან პროვოკაციის მოწყობის მცდელობად აღიქმება.

შეხვედრაზე მყოფმა ახალგაზრდებმა განაცხადეს ისიც, რომ ისინი არ აპირებდნენ რაიმე პროვოკაციაზე წასვლას და მზად იყვნენ მშვიდობიანად დაეთმოთ ყველა ის პირი, რომელზეც პოლიციას ეჭვი გააჩნდა.

სოხაძის განცხადებით, აქციის არც ერთ მონაწილეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ ჩაუდენია, ხოლო ხელისუფლების მხრიდან მშვიდობიანი

მომიტინგეების დარბევა გამოწვეული სადამსჯელო ღონისძიება იყო და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

"პოლიციის შენობასთან ახალგაზრდების მშვიდობიანი აქციის დარბევა არის ვანდალური აქტი, რომლითაც ხელისუფლება ცდილობს, დააშინოს განსხვავებული აზრის მქონე ახალგაზრდები და ისინი ქართველი ხალხის საპროტესტო მოძრაობას ჩამოაცილოს. თუმცა, ჩვენ რაიმე პროვოკაციაზე წასვლა არ გვინდოდა და ყველა იმ პირის გადაცემისთვის მზად ვიყავით, ვისზეც პოლიციას ეჭვი გააჩნდა," - ირწმუნება სოხაძე. *საკუთარი ინფორმაცია*

საპროტესტო აქცია გორში

გუშინ გორის სასამართლო "ალიანსის საქართველოსთვის" გორის რაიონული ორგანიზაციის ორი წევრის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს განიხილავდა. გამოძიების ვერსიით, ზაალ გუდაძეს ასაფეთქებელი მოწყობილობები - ე.წ. "ლიმონკები," ხოლო თამაზ ტლაშაძეს ნარკოტიკული ნივთიერება "სუბუტექსი" აღმოაჩნდა. სახალხო დამცველის გორის ოფისში მიიჩნევენ, რომ გუდაძე და ტლაშაძე პოლიტიკური ნიშნით არიან დაკავებული,

ასაფეთქებელი მოწყობილობები და ნარკოტიკული საშუალებები კი მათ თავად პოლიციელებმა "ჩაუდეს."

წინასწარი დაკავების იზოლატორში ზაალ გუდაძე მონახულა სახალხო დამცველის გორის ოფისის წარმომადგენელმა ნინო დალაქიშვილმა, რომელიც ირწმუნება, რომ დაკავებულს სხეულზე მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება, რომელიც მას დაკავების დროს მიაყენეს. გუშინ დილიდან საპროტესტო აქცია გორის თეატრთან და-

იწყო, მსვლელობა სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორთან გაგრძელდა და ბოლოს სასამართლოსთან დასრულდა - აქციის მონაწილეები ზაალ გუდაძისა და თამაზ ტლაშაძის დაკავებას აპროტესტებდნენ. "ალიანსის საქართველოსთვის" რეგიონული შტაბის წარმომადგენლების მტკიცებით, ტლაშაძის და გუდაძის დაკავება პოლიტიკური მოტივით მოხდა, რადგან ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის საპროტესტო აქცი-

ებში. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ტლაშაძეს სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა, ხოლო გუდაძე გვიანობამდე წინასწარი დაკავების იზოლატორში დარჩა.

აქციის წევრები სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს სკანდირებდნენ - "ვითხოვთ სიმართლეს" და მოსამართლეს მოუწოდებდნენ, პოლიტიკური შეკვეთა არ შეასრულოს.

საკუთარი ინფორმაცია

130 125 პასპორტი და 214 937 პირადობის მოწმობა გაიცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეგისტრის სააგენტოს ტერიტორიულმა სამსახურებმა 2009 წლის ხუთ თვეში 130 125 პასპორტი და 214 937 პირადობის მოწმობა გასცეს. სამოქალაქო

რეგისტრის სტატისტიკური მოცულებების ანალიზის თანახმად, ყველაზე მეტი პასპორტი 29 736 მაისში გაიცა, რაც, სავარაუდოდ, ზაფხულის სეზონის მოახლოებას უკავშირდება.

რაც შეეხება პირადობის

მოწმობას, გაცემული პირადობის მოწმობების რაოდენობით მარტი გამოირჩევა, ამ დროს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს პირადობის მოწმობის ასაღებად 50 572-მა მოქალაქემ მიაკითხა.

14 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე ვალდებულია აიღოს პირადობის მოწმობა. განაცხადის შეტანიდან მეათე სამუშაო დღეს დოკუმენტი უფასოდ გაიცემა.

საკუთარი ინფორმაცია

რუსეთი ჩინეთს გაზს დროულად ვერ მიანოდებს

ივა პილაკაძე

ჩინეთისთვის რუსეთის გაზის მიწოდება 2011 წელს, როგორც ეს ადრე იგეგმებოდა, ვერ დაიწყება, - ეს განცხადება "გაზპრომის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალექსანდრ ანანენკოვმა გუშინ გააკეთა, როდესაც ჩინეთის ლიდერი ხუ ძინტაო მოსკოვში იმყოფებოდა. "ჩინეთის მხარესთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ ფასზე ვერ ვერ შევთანხმდით. მილსადენით 2011 წელს გაზის მიწოდებაზე ლაპარაკი არ არის," - აღნიშნა მან. რუსული მონოპოლიის ერთ-ერთი მენეჯერის განცხადება ჩინეთის ლიდერის ვლადიმერ პუტინთან და დმიტრი მედვედევთან შეხვედრებს შორის გაისმა.

კრემლში მედვედევი ხუ ძინტაოს ჩინეთისა და რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების განსახილველად შეხვდა. ჩინეთის ლიდერი უკვე სამი დღეა რუსეთშია, ის მანამდეც შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს ეკატერინბურგში, სადაც ე.წ. "შოს"-ისა (თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია) და შემდეგ "ბრიზ"-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) სამიტები იმართებოდა.

როგორც ჩანს, ხუ ძინტაომ პუტინთან და მედვედევთან შეხვედრისას გაზის მიწოდების საკითხი განიხილა, მაგრამ ამ მოლაპარაკებებს არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ამ საკითხზე ინფორმაცია უალრესად მწირი და ზოგადია. ოფიციალურად მხოლოდ ის გამოცხადდა, რომ შეხვედრის შედეგად ხელი მოეწერა ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმს ბუნებრივი გაზის სფეროში თანამშრომლობისთვის. ხელი მოეწერა ასეთივე მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ ქვანახშირის სფეროში. რუსეთის და ჩინეთის ხელმძღვანელების თანდასწრებით ხელი მოეწერა აგრეთვე ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმს კომპანია "რენოვას" ჯგუფსა და ჩინეთის ოქროს მომპოვებელ სახელმწიფო კორპორაციას შორის.



ხუ ძინტაოსა და დმიტრი მედვედევის შეხვედრა მოსკოვში

ორიოდე წლის წინათ გაფორმებულ მემორანდუმში დაფიქსირებული იყო, რომ დაგეგმილია დასავლეთ ციმბირი-ჩინეთის მილსადენის აშენება. რუსეთის მხარემ პირობა დადო, რომ გაზის მიწოდებას სანავაგზე ფასის შეთანხმებიდან ოთხ წელიწადში დაიწყებდა და სავარაუდო თარიღად 2011 წელი იყო დასახელებული. როგორც ჩანს, ეს ფასის შეთანხმება საეჭვოდ დიდხანს გაჭიანურდა. არადა, ვერ კიდევ მაისში რუსეთის ვიცე-პრემიერი იგორ სეჩინი აცხადებდა, რომ რუსეთი თავის წინადადებებს ხუ ძინტაოს მოსკოვში ვიზიტის დროს წარადგენდა. მისი სიტყვებით, რუსეთი მზად არის, ჩინეთს

იმდენი გაზი მიანოდოს, რამდენიც ამ ქვეყანას დასჭირდება. რუსეთში შემუშავებული "აღმოსავლეთის გაზის პროგრამით" გათვალისწინებულია აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და მიწოდების ერთიანი სისტემის შექმნა, რომლის მიზანია გაზის ექსპორტირება ჩინეთისა და აზია-წყნარი ოკეანის ბაზრებზე. ამ პროგრამის კოორდინირება კი რუსეთის მთავრობას იმავე "გაზპრომისთვის" აქვს მინდობილი. თავის მხრივ, ჩინეთიც სერიოზულად არის დაინტერესებული რუსეთიდან არა მარტო გაზის, არამედ სხვა ენერგორესურსების იმპორტით და

ამისთვის მილიარდობით იუანის დახარჯვას აპირებს. საუბარია ჩრდილოეთ მეზობლისგან არანაკლებ 18 მილიარდი კილოვატი ელექტროენერჯის შესყიდვაზეც. რუსეთს ან ძალიან დიდი მანძილზე, ან მილსადენების მშენებლობაში ფინანსურ-ტექნიკური პრობლემები არსებობს და ამას ის ფასზე შეუთანხმებლობის თემით ფარავს. რუსეთი ორი ახალი მილსადენით გაზის მიწოდებას ევროპასაც სთავაზობს, მაგრამ ეკონომიკური ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე რუსეთს ამისთვის ფული არა აქვს. ჩინეთის ლიდერის რუსეთში ოფიციალური ვიზიტის მიზეზად

ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 60 წლის იუბილეს მოახლოება დასახელებულია (ათვისის წერტილი, ეტყობა, 1949 წლის 1 ოქტომბერია - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება), მაგრამ დღის წესრიგის ძირითადი ნაწილი მაინც ეკონომიკურ ურთიერთობებს ეთმობოდა. შარშან ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვამ რეკორდულ ციფრს - 56,83 მილიარდ დოლარს მიაღწია, თუმცა წელს ეკონომიკური კრიზისის გამო ეს მაჩვენებელი შეიძლება შემცირდეს. მოსკოვს ისიც ალღევებს, რომ ჩინეთში მისი ექსპორტის უდიდესი ნაწილი ნედლეულზე მოდის.

106 მილიარდი ერაყისა და ავღანეთის ოპერაციებისთვის

მარიკა იახვილი

აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ხმა მისცა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ერაყსა და ავღანეთში ოპერაციების ჩასატარებლად მიმდინარე ფინანსურ წელს ანუ 2009 წლის 1 ოქტომბრამდე დამატებით 106 მილიარდი

აშშ დოლარის გამოყოფას. კანონპროექტის მიხედვით, 5 მილიარდი აშშ დოლარი საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვისაც გამოიყოფა. ეს საერთაშორისო სავალუტო ფონდს 108 მილიარდი დოლარის ოდენობის რესურსების მობილიზების საშუალებას მისცემს. ასეთი ვალდებულება ამერიკამ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყ-

ნების "ოცეულის ჯგუფის" ფარგლებში აიღო, როდესაც პრეზიდენტმა ობამამ პირობა დადო, რომ განვითარებად ქვეყნებს გლობალური კრიზისიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა. ამასთანავე, ერაყისა და ავღანეთის ომის ხარჯების დასაფარად გათვალისწინებულია 80 მილიარდი აშშ დოლარიც. პენტაგონის წარმო-

მადგენლებმა დამატებითი დაფინანსების შესახებ თხოვნა იმით ახსნეს, რომ ავღანეთსა და ერაყში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის ჰქონდათ გამოყოფილი თანხა უკვე მიმდინარე წლის ივლისში ამოიწურება. კანონმდებლებმა პენტაგონის თხოვნა დააკმაყოფილეს, თუმცა უარი თქვეს კუბაში გუანტანამოს

ციხის დასახურად საჭირო სახსრების გამოყოფაზე. კანონპროექტი ხმათა უმნიშვნელო უმრავლესობით დამტკიცდა - 226 ხმა 202-ის წინააღმდეგ. მხარდამჭერთა უმრავლესობას "კონსერვატორები" წარმოადგენდნენ. ამის შემდეგ კანონპროექტი დასამტკიცებლად კონგრესის სენატს გადაეცემა.

საკადრო ცვლილება ლატვიის მთავრობაში

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, ეკონომიკური დარტყმის გარდა, რიგი ქვეყნების მთავრობებში საკადრო ცვლილებებიც გამოიწვია. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში საქმე ლატვიას ეხება, სადაც საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაზე აზრთა სხვადასხვაობას ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებაც მოჰყვა. ივარს ეგლიტისმა თანამდებობის დატოვების შესახებ ოთხშაბათს დაწერა განცხადება -

მას შემდეგ, რაც უწყებაში ხარჯების შემცირებაზე უარი განაცხადა. ეგლიტისის აზრით, მიუღებელია იმ ხარჯების შემცირება, რომელთა განვითარებას ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებისთვის აუცილებელია. ლატვიის პარლამენტმა სამშაბათს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე მხარი დაუჭირა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესწორებების შეტანას, რაც პენსიე-

ბის, სოციალური დახმარებებისა და საჯარო მოხელეთა ხელფასების შემცირებას გულისხმობს. სახელმწიფო ბიუჯეტში შესწორებების მიღება კი აუცილებელია, რათა ლატვიამ ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის შემდგომი საერთაშორისო ტრანში მიიღოს. სწორედ ამის გამო ლატვიის სახელმწიფო სექტორში ხელფასების 20 პროცენტით შემცირება იგეგმე-

ბა, მათ შორის ჯანდაცვის სისტემაშიც. მიმდინარე წლის აპრილში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უარი განაცხადა ლატვიისთვის ფულადი ტრანშის გადაცემაზე, რადგან რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტი აღემატებოდა იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მაჩვენებელს, რომელიც ლატვიის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სესხის მი-

საღებად გააფორმა. 2009 წლის პირველ კვარტალში ლატვიის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18 პროცენტით შემცირდა. ქვეყნის ხელისუფლებამ დახმარების თხოვნით საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებს მიმართა, რომლებიც რესპუბლიკას 2011 წლამდე 7.5 მლრდ ევროს ოდენობის სესხს მისცემენ.

ირანი - გეზიდვები ჟურნალისტებისათვის

მარიკა იაშვილი

ირანის ხელისუფლებამ, სადაც 12 ივნისს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კვლავ დაძაბული მდგომარეობაა, უცხოელი ჟურნალისტების მუშაობაზე შეზღუდვები დაანერგა.

ჟურნალისტები ვალდებული იქნებიან, ოფისის დატოვებისთვის საგანგებო ნებართვა მიიღონ.

გარდა ამისა, კორესპონდენტებს აკრძალული აქვთ არასანქცირებულ მიტინგებზე დასწრება და მათი გაშუქება. ამასთანავე, არ არის ცნობილი, თუ რომელია ქვეყანაში მიმდინარე მრავალრიცხოვანი აქციებიდან მთავრობის მიერ ნებადართული.

უცხოელ ჟურნალისტთა ყველა აკრედიტაცია გაუქმებულად გამოცხადდა. ადგილზე მომუშავე კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ პრესის მუშაობაზე ასეთ მკაცრ შეზღუდვებს არც ერთ ქვეყანაში არ შესწრებია.

გავლენიანი ირანული ორგანო - კონსტიტუციის დამცველთა საბჭო აცხადებს, რომ მზად არის, საპრეზიდენტო არჩევნებზე შემოსული ხმები კიდევ ერთხელ დათვალოს. თუმცა შედეგების ანულირებისა და ხელახალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას ისინი თავიდანვე გამორიცხავენ.

ოპოზიციონერი კანდიდატი მირ ჰოსეინ მუსაუი, რომელმაც, ოფიციალური მონაცემებით, ხმათა 33 პროცენტზე ცოტა მეტი მოაგროვა, დამარცხების აღიარებაზე უარს აცხადებს და კონკურენტს - პრეზიდენტ აჰმადინეჯადს არჩევნების შედეგების გაყალბებაში დადანაშაულებს.

ხმების ხელახალი გადათვლის შესახებ კონსტიტუციის დამცველთა მიერ გაკეთებული განცხადება, შეიძლება ითქვას, ხელისუფლების პოზიციებში ნამდვილი გადატრიალებაა. ქვეყნის უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან ძალიან მალე პრეზიდენტ აჰმადინეჯადს გამარჯვება მიულოცა და ამ მოვლენას "ნამდვილი დღესასწაული" უწოდა.

პარასკევის არჩევნების შემდეგ



ირანში დაწყებული საპროტესტო აქციები არ წყდება. 15 ივნისს დემონსტრაციაში რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი მონაწილეობდა. ზოგიერთი მონაცემების თანახმად, მათმა რაოდენობამ 1.5 მილიონსაც კი გადააჭარბა. სწორედ ამ დღეს პოლიციასთან შეტაკების შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა, ხოლო რამდენიმე დაიჭრა.

12 ივნისის არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების შესახებ ღიად საუბრობს მუსაუის წარმომადგენელი ევროპაში მოსვენ მამბალაფი. მისი თქმით, პარასკევს ღამით მუსაუის საარჩევნო შტაბში ირანის უმაღლესმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ დარეკა, ოპოზიციის ლიდერს გამარჯვება მიულოცა და საზეიმო სიტყვით გამოსვლა დაავალა. თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც საზეიმო სიტყვის შა-

ვი ვარიანტი უკვე მზად იყო, მაშალბაფის თქმით, შტაბში კონსტიტუციის დამცველთა საბჭოს წარმომადგენლები მივიდნენ და განაცხადეს, რომ შეცდომა მოხდა.

მაშალბაფის მტკიცებით, საბჭოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აჰმადინეჯადის დამარცხება მთელი სისტემის დამარცხების ტოლფასი იქნებოდა, რის გამოც მუსაუი გამარჯვებულად არ გამოცხადდებოდა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ინფორმაცია, რომელიც დასავლეთში ირანიდან ჟონავს, საკმაოდ ცალმხრივია და ისლამური რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესებს გამოხატავს.

კონსერვატორ აჰმადინეჯადს მხარი, სავარაუდოდ, სოფლის მოსახლეობამ დაუჭირა. რეფორმატორი მუსაუის სასარ-

გებლოდ კი ხმა ქალაქების და მათ შორის თეირანის მოსახლეობამაც მისცა. მათ ინტერნეტსა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე მიუწვდებოდათ ხელი და, შესაბამისად, ირანში ამ ადამიანების ხმები უფრო ხმამალა უღერს, ვიდრე მათი ოპონენტების.

კონსტიტუციის დამცველთა საბჭოს მიერ სამშაბათს გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ხმის ხელახალი დათვალა მხოლოდ საკამათო რეგიონებში განხორციელდება. თუმცა ექსპერტთა თქმით, ეს, ფაქტობრივად, ხმების მთლიანად დათვლას გულისხმობს.

მოქმედი პრეზიდენტის - მაჰმუდ აჰმადინეჯადისა და მისი მთავარი ოპონენტის - მირ ჰოსეინ მუსაუის მხარდამჭერები დედაქალაქში ვალი-ასრის მოედანზე მასობრივი მი-

ტინგებს ჩატარებას გეგმავენ. მოსალოდნელია, რომ თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად ქუჩებში კვლავ ასეულობით ათასი მოქალაქე გამოვა. ასეთი ხალხმრავალი მიტინგები ირანში 1979 წლის ისლამისტური რევოლუციის შემდეგ აღარ გამართულა.

დღემდე მიტინგები, ძირითადად, მშვიდობიანად მიმდინარეობდა. ერთადერთი შეტაკება მაშინ მოხდა, როდესაც ახალგაზრდა ოპოზიციონერთა ჯგუფი თავს დაესხა აზადის მოედნის ახლოს მდებარე პოლიციის განყოფილებას.

აქციების დაწყებიდან დღემდე ათობით ოპოზიციონერი დააპატიმრეს, მათ შორის რამდენიმე მაღალჩინოსანი რეფორმისტიც: ვიცე-პრეზიდენტი მოჰამად ალი აბტაჰი და მუსაუის მხარდამჭერი საიდ ჰაჯარიანი.

მეთანის აფეთქება ინდონეზიაში

მარიკა იაშვილი

ინდონეზიაში, ნახშირის საბადოში მომხდარი მეთანის აფეთქების შედეგად, 27 ადამიანი დაიღუპა, 13 მალაროელი კი ისევ ნანგრევების ქვეშ რჩება. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ მათი გადარჩენა ვეღარ მოხერხდება და ისინი მასობრივად გარდაცვლილები დახვდებიან.

კუნძულ სუმატრას დასავლეთ ნაწილში ნახშირის მალაროში მეთანი სამშაბათს დილით აფეთქდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ალი დედამინის ზედაპირიდან 50 მეტრის სიმაღლეზე ავარდა, ხოლო მისი ხმა ერთი კილომეტრის რადიუსზე გაიგონეს. გადარჩენილი მალაროელები გასასვლელს მიაწყდნენ და მინის სიღრმეში ჟანგბადისა და საგანგებო აღჭურვილობის გარეშე აღმოჩნდნენ.

პირველი ოთხი ცხედრის ამოტანა მალაროდან მალევე მოხერხდა. დანარჩენი გვამების ამოტანა კი მხოლოდ მას შემდეგ გახდა შე-



საძებელი, რაც მალაროში ჟანგბადი ჩატუმბეს და მასველებმა ჩასვლა შეძლეს. მალაროდან ცოცხალი 16 ადამიანი ამოვიდა, თუმცა ხუთი მათგანი მოგვიანებით საავადმყოფოში ძლიერი დამწვრობისგან გარდაიცვალა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს კრიზისული ცენტრის წარმომადგენლების განცხადებით, ამჟამად ორი მალაროელი კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ინდონეზია, ნახშირის ექსპორტის თვალსაზრისით, მსოფლიოში მეორე ქვეყანაა და მსოფლიო ბაზრისთვის ნედლეულის მიწოდებაში მხოლოდ ავსტრალიას ჩამორჩება. ნიადაგის მოპოვების საქმეში ქვეყნის მილიონობით მცხოვრებია ჩართული. თუმცა, მიუხედავად ამისა, მალაროელები უსაფრთხოების თვალსაზრისით ვითარება ძალიან მძიმეა: უსაფრთხოების ოფიციალური სტანდარტები არ არსებობს, ხოლო მალაროელები ძველი აღჭურვილობითა და მოწყობილობებით სარგებლობენ.



ბანკი 1000 საქართველოს ბანკი

ბანკით ნაბაი, რაჩოთ ბათაშაშაშა, შოგოთ შინაშე შინაშე და ბიან



საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA



დათო ტურაზილის ხუთშაბათი



მიქი ბაუნი

ქართველმა ტელეჟურნალისტებმა, რომლებმაც ხელისუფლების კარნახით იმის მტკიცება დაიწყეს რომ გავროს მისიისაგან მიტოვებულ საქართველოს, დასავლეთი ახლა უფრო მეტად დაუჭერს მხარს რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში, ერთი ძველი და სევდიანი ამბავი გამახსენეს.

ლონდონის ერთ მშვენიერ კაფეში ერთი მშვენიერი გოგო მუშაობდა, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს მითხრა - ჩვენს კაფეში ძალიან დიდი ვარსკვლავებიც კი დადიანო. ვინ-მეთქი და სახელი და გვარი არ მახსოვს და ახლა კი მგონი მწვრთნელია მაგრამ თურმე ისეთი მაგარი ფეხბურთელი ყოფილა რომ ჩვენს კაფეში რომ შემოდის, ხალხი პირდაღებული უყურებდა.

ვინაობა დამიდგინე მეთქი და მეორე დღეს მითხრა - ის კაცი ვილაც კვირი კიგანი ყოფილა და ასეთი ფეხბურთელი საერთოდ თუ გაგიგიაო. რა უნდა მეპასუხა და პირი ისე დავაღე, როგორც ბავშვობაში, როცა კიგანმა თბილისში, პაიჭაძეზე, მოედნის ცენტრში ბურთი მიიღო და მეორე მთელი თბილისის "დინამო" ბავშვებით ახობილა და გოლიც გაგვიტანა.

მაშინ თბილისის დინამო "ჰამბურგს" ეთამაშებოდა ჩემპიონთა თასზე და პირველი თამაში გერმანიაში კი წაგებული გვექონდა, მაგრამ მაინც ისეთი იმედები არსებობდა რომ იმ დღეს, 1979 წლის 7 ნოემბერს დინამოს სტადიონზე ასი ათასი გულშემატკივარი მივიდა საპასუხო თამაშზე დასასწრებად. მატჩის დაწყებისთანავე, უკვე მეხუთე წუთზე, ვლადიმერ გუცაევმა "ჰამბურგს" პირველი გოლი გაუტანა და სტადიონზე ისეთი რამ მოხდა, რაც პაიჭაძეზე აღარასოდეს განმეორებულა. მე კი რატომღაც ზუსტად ამ დროს კიგანი დამამახსოვრდა, რომელმაც ბურთი წამოიღო, ცენტრში დადო და თანაგუნდელები ხელის მოძრაობითაც გაამხნევა. მეორე ეს ბურთი აიღო, ფეხზე დაიმთავრა და თამაშის ბოლომდეც სულ ამაოდ ვსდიეთ მთელმა საქართველომ გადიმბულ კვირი კიგანს.

პირველი თამაში კი გასვლაზე, ჰამბურგში გვექონდა მაშინდელი ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან და მუჯირმა საკუთარ კარში გაიტანა. დავით მუჯირი (სხვათა შორის), კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ იმ ავტოგოლმა ისე მოგვსპო ყველანი რომ მუჯირი უსამართლოდ დაევიწყეთ. არადა განმეორებითი მატჩის წინ ისეთი ხუმრობა გაჩნდა საქართველოში, რომ პირადად ის წაგება, სწორედ იმ ხუმრობამ გადამატანინა. ჰამბურგთან მეორე, განმეორებითი თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ოთარ გაბელიამ უთხრა ალექსანდრე ჩივაძეს, - შენ კიგანი აიყვანე, მე კი მუჯირს მივხედავო...

იმ კაფეში მეორე დღითვე მივედი ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მთავარი ლეგენდის სანახავად და ჩაი მოვიყუდე თუ არა, მართლა წამდვილი კიგანი შემოვიდა. მგონი მართლა რაღაც ინსტინქტი იყო, რადგან უნებლიედ წამოვიჩინე და ისე მივესალმეთ. თვითონ კი ძალიან შინაურულად მიპასუხა და კუთხის მაგიდასთან დაჯდა. სანამ ყავას მიუტანდნენ, "გარდანი" გაშალა და სანამ კითხვას შეუდგებოდა, მივაღექე კიდეც. გულწრფელად ვუთხარი ის, რასაც ვფიქრობდი - თქვენი ბრწყინვალე თამაში ჩვენი "დინამოს" წინააღმდეგ ახლაც თვალწინ მიდგას და თქვენზე მაკარი ფეხბურთელი ჩემს ქვეყანაში არც არასოდეს ჩამოსულა-მეთქი. მარადონას სტუმრობამდე ამბავს ვყვები და ამიტომაც არაფერი მომიტყუებია, არც მას მოუტყუებია არაფერი და გულწრფელად გამიღიმა, მაღლობაც გადამიხადა ხელის ჩამორთმევით და რომ დავემშვიდობე, ის ჩემთვის მიწაგასაკდომი ფრაზაც მითხრა:

- You said "Dinamo", Of course, I remember Kiev, very nice place .

- რა კივივი, კვივი...

ვთქვი უფრო ჩემთვის, კიგანს ხელი ვავუშვი და იმ კაფედანაც ძალიან სწრაფად გამოვედი გარეთ რომ იმ გოგოსაც არ დაენახა ჩემი ცრემლებით სავსე თვალები...

მომავალზე გამარჯვება, ანუ ორმაგი ბოლშევიზმი

წერილი ჩემს ინფანტილურ თანამემამულეებს

სოფო კილასონია

1913 წელს მიხეილ მათიუშინმა, ალექსეი კლუჭინიხმა და კაზიმირ მალევიჩმა ახლად-ჩამოყალიბებული კუბოფუტურისტული თეატრისთვის ოპერა შექმნეს. ოპერა სახელწოდებით "მზეზე გამარჯვება". ამ ნარმოდგენამდე მათიუშინის აგარაკზე ფუტურისტების საიდუმლო შეხვედრა შედგა, სადაც მასპინძელმა მალევიჩთან და კლუჭინიხთან ერთად დაგეგმა, რომ ახალი ფუტურისტული ნარმოდგენა იქნებოდა სიტყვის, ბგერისა და გამოსახულების ალოგიზმის (ალოგიკურობა, ალოგიკური აზროვნება ანდა ფაქტი, რომელიც არავითარ კანონსა და ლოგიკას არ ექვემდებარება) საუკეთესო ხორცშესხმა.

ამ დროისთვის ოპერის ავტორებს უკვე ჰქონდათ ჩამოყალიბებული თეორია ახალი მომავლის შესახებ, იმ მომავლისა, რომლის დაბადებაც მხოლოდ არსებულის განადგურების შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. ახალ საოპერო თხზულებაშიც ამ თეორიას ასაბუთებდნენ, თითოეული ცდილობდა ამ იდეის თავისებურად განხორციელებას: მალევიჩი - მხატვრულ-სუპრემატისტული ხედვით, კლუჭინიხი - ტექსტებით, მათიუშინი - დისონანსური მუსიკალური ქსოვილებით.

პრემიერა სანკტ-პეტერბურგში შედგა. მეორედ ნარმოდგენა განახორციელეს 1920 წელს ვიტებსკში, მას შემდეგ 1980 წლამდე ოპერა არ განახლებულა. 80-იან წლებში იყო მისი აღდგენის მცდელობები, მაგრამ ეს მცდელობები ექსპერიმენტის ფორმას ვერ გასცდა, რადგანაც კლასიკური ოპერისგან განსხვავებით, რომელიც თავისთავად უნივერსალურია ნებისმიერ ეპოქასა და ვითარებაში, "მზეზე გამარჯვება" მუსიკის მოყვარულთათვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდა. მაგრამ იმასაც ვერ გეტყვით რომ მისგან არაფერი დარჩა. დარჩა, თანაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ - კაზიმირ მალევიჩის "შავი კვადრატი". ცოტამ თუ იცის, რომ რევოლუციური ნაწარმოები ამ ოპერისთვის შექმნილი სცენოგრაფიის მთავარი ხატება გახლდათ. მან სცენის საფასადო დეკორაციას (ფარდაზე) დახატული დიდი შავი კვადრატით მზე დააბნელა...

"შავი კვადრატი" ზემოთ აღნიშნული ოპერისგან განსხვავებით კიდევ დიდხანს გვემახსოვრება, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ მალევიჩმა ამ შავსა და შერეულ ფორმაში არა მხოლოდ სინათლე დამალა, არამედ რუსი ფუტურისტების ისტორიაც შეინახა. ისტორიამ, რომელმაც მსოფლიო მხატვრულ ტენდენციებზე მოახდინა გავლენა და ეს ამბავი რუსებმა ვენეციაში სწორედ რომ მთელს მსოფლიოს შეახსენეს. "მზეზე გამარჯვება" გახდა რუსული პავილიონის კურატორის, ოლგა სვიბლოვას ინსპირაციის წყარო, მან ბიენალეს საერთო დევიზის ქვესათაურად რუსულ პროექტს "მომავალზე გამარჯვება" დაარქვა.

რუსული პროექტის პარტნიორები, რუსეთის კულტურის



ზურაბ და ვასილი წერეთლები რუსეთის პავილიონის გახსნაზე.



გეორგი ოსტრეცოვის "ახალი ხელისუფლება".

სამინისტროს გარდა, უამრავი ბიზნესორგანიზაცია გახლდათ: ბანკები, და სხვადასხვა ფონდები, რომლებიც ქვეყანაში ხელოვნების განვითარებას ემსახურებიან. ყოველი მათგანის წარმომადგენელი ვენეციაში გახლავთ გამომწვეული. პავილიონის გახსნა იყო პომპეზური და ხმაურიანი. ისეთი, როგორც სხვა არც ერთ ქვეყანას არ მოუწყვია. პირდაპირ ჯარდინის ბაღის ხეივანში დადგეს სცენა და ფურშეტისთვის მაგიდები. სცენაზე მთელი რუსული კულტურის მმართველობა დადგა. ისინი ვინც ჯერ კიდევ ბოლშევიკურ კულტურას ლობივებენ და ისინიც, ვისთვისაც ეს კულტურა მიუღებელი წარსული და აწმყოა, მაგრამ არ იქნებოდა "ორიგინალური" თანამედროვე რუსული არტისტული სივრცე ეს ორი მხარე ასე მეგობრულად რომ არ იდგეს მუდამ ერთად. მაგრამ არც თანამედროვე რუსული არტი იქნებოდა მდიდარი, ახალი ბოლშევიზმის ფულითა და ავტორიტეტით რომ არ იკვებებოდეს. რუსული პავილიონის საზეიმო გახსნის პომპეზურსა და ხმაველ ცერემონიას კიდევ დაუბრუნდებით, მაგრამ

ბოლშევიკური კულტურის თანამედროვე გავლენებსა და ავტორიტეტზე მომაგონდა, რომ სცენაზე მყოფ მასპინძელთა ცენტრში ზურაბ წერეთელი იდგა, როგორც მამა თანამედროვე რუსული კულტურისა, (მიუხედავად იმისა, რომ მას როგორც ხელოვანს თანამედროვე ფასეულობებთან არანაირი სიახლოვე არ აქვს) და იდგა როგორც ბაბუა რუსული პროექტის კომისრის ვასილი წერეთლისა. ადამიანისა, რომელთანაც ასოცირდება უმეტესი მოსკოური არტისტული პროცესები. მოდით იმასაც გეტყვით, რომ ზურაბ წერეთელი უდიდეს სივრცეს და კომფორტს უქმნის თანამედროვე რუსულ ხელოვნებას, ახალგაზრდა რუს ხელოვნებს საკუთარი გალერეებითა და მუზეუმით. რუსეთში ის ამკარად მეცენატია ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. რასაც ვერ ვიტყვით მასზე საქართველოსთან მიმართებაში, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა მისი ნამუშევრების საცავია. გვჩუქნის მათ, (პარალელურად გვიმახინჯებს ქალაქს და დაღს ასვამს ჩვენი საზოგადოების თუ არა პოლიტიკური წრეების გემოვნებას

ამკარად) მერე კი საჩუქრად იღებს "ოფიცერთა სასახლეს", სადაც საკუთარი ბოლშევიკური ხელოვნების მუზეუმის გახსნას გეგმავს. ამ ხელოვნებაზე საუბარი ვენეციიდან აღარ ღირს, მასზე ისედაც ბევრი ვთქვი ბოლო 4 წლის განმავლობაში, თანაც დღეს არ მაქვს სურვილი ბოლშევიკურ კულტურაზე ვწერო, ისედაც ამ კულტურასთან შეხება ქართველებს ძალიან ხშირად გვინევს, თუ საერთოდ არ ვცხოვრობთ მის მენტალურ სივრცეში.

პარადოქსები არც პავილიონის შიგნით, ანუ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი 7 რუსი მხატვრის ნამუშევრებში გახლავთ ცოტა. ვასილი წერეთელს კარგად აქვს გააზრებული, რომ "ვენეციის ბიენალე იგივეა კულტურაში, რაც ოლიმპიადა სპორტისთვის", კურატორი ოლგა სვიბლოვა კი არ იზარებს დამთვალეობებს რუსული თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვნება აჩვენოს და დავიმატიკოს, რომ რუსეთი თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სფეროშიც მედროშაა. სვიბლოვას ამგვარი რწმენა დიდად შორს არაა რეალობისგან. მოსკოვში გახსნილია არაერთი გალერეა და ხელოვნების ცენტრი. ეს ინსტიტუციები რეალურად მუშაობენ, ამას გარდა მოსკოვში ჩამოღის დასავლური დიდი ექსპოები და ჩამოდიან ცნობილი თანამედროვე არტისტები. რუსეთი აქტიური სცენა და "ბაზარია" მათთვის და ამაზე ზრუნვა იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილ მეზობელს დღეს და გუშინ არ დაუწყია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ვენეციური პავილიონი მათ 1914 წელს ააშენეს... წელს მის რემონტს იწყებენ.

არ მინდა მკითხველმა იფიქროს, რომ მე ამ წერილში რუსულსა და ქართულ პროექტებს ერთმანეთს ვადარებ, არანაირად. არც ჩვენს შესაძლებლობებს, ფინანსების მასშტაბი არაა ხელოვნებაში სულ მთავარი და არც რუსული პროექტის წარმატებამ ამაღლვია, პირიქით, მაგრამ ჩვენში ძალიან ხშირია ილუზიები საკუთარი შესაძლებლობების, ანდა სხვაზე უპირატესობის შესახებ, ეს ილუზიები იმდენად გვეძვირფასება, რომ ხშირად რეალობას ვერ აღვიქვამთ. საკუთარი შეცდომებისა და ხარვეზების ანალიზი არ ხდება, ეს პროცესი საერთოდ მიუღებელია და ზურგში ლახვრის ჩაცმვად მოიაზრება. იმ კი მგონია, რომ სწორედ ეს ილუზორული წარმატებები ტოვებს ლიად იმ არაერთ საზოგადოებრივ მენტალურ ჭრილობებს, რომლებიც ასე გვაშორებს დასახულ ნათელ მიზნებს თითქმის ყველა სფეროში. ამიტომაც რამდენიმე პარალელს მე მაინც დავუშვებ:

რუსებმა ჩვენგან განსხვავებით იცანა, რომ ვენეციის ბიენალეს უდიდესი რენომე აქვს დასავლეთისთვის, ჩვენთან თუ კონფესტივალური უფრო პოპულარულია, დასავლეთისთვის ვენეციის ბიენალე მხატვრობაში კანის კინოფესტივალის რანგისაა და სხვა დანარჩენს საგრძნობლად უსწრებს. თანაც დასავლეთში სჯერათ, რომ სწო-

აი-10 გვარდიანე

რედ სახვითობა განსაზღვრავს ნებისმიერი ტიპის გამოსახულებას, მათ შორის კინემატოგრაფის ხარისხსა და კონცეპტუალურ მიგნებებს. ამიტომაც რუსული პროექტის თითოეული მონაწილე ბოლომდე ზუსტად აღიქვამს საკუთარ პასუხისმგებლობას, ამიტომაც რომ პავილიონს გახსნის დღეს არ ალაგებენ... რუსებმა ისიც იციან, რომ ვენეციის ბიენალე კარგად გამოსაყენებელი სცენაა - ტრიბუნაა, სადაც შენი თავი ისე უნდა შეალამაზო და ისეთი აქცენტები დასვა, დიდხანს რომ იმუშავებენ სხვის ფსიქიკაზე. ამიტომაც იყო რომ სვიბლოვამ ორატორიული მოცული პროექტი წარადგინა. პროექტი, რომელზეც წელი იფიქრა. რუსებმა პირველ რიგში გვერდით დაიყენეს ვითომ გარუსებული ჩეჩენი მხატვარი ალექსეი კალიმა, ცნობილი და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პაველ პეპერშტეინის ფერადი გრაფიკებით კი ერთი მხრივ გააცოცხლეს "მზეზე გამარჯვების" ამბავი და გაიპრანქნენ, მეორე მხრივ გააცოცხლეს საკუთარი ამოცანა - "მომავალზე გამარჯვება". უცხოელ დამთავლიერებელს პროექტი "მიყიდეს" მუდამ სარფიანი სოცრეალისტური კონტექსტით. პოსტსაბჭოთა ქვეყნები დღეს ხომ სწორედ ამ ნიშნით ვართ საინტერესონი. გიორგი ოსტროვეცმა რუსული ქობის ინტერიერი წაღმა ამოატრიალა და შიგნით ყველაფერი გააცოცხლა. რუსული ზღაპრების ეპიზოდებიდან დანკებული "მინსკის" მაცივრით დასრულებული. ოთხი ფიცრული ოთახის ბოლოს იჯდა ცვილის ადამიანი, მექანიკური მხატვარი, რომელიც შეუჩერებლად ხატავდა. ოსტრეცოვმა ამით აღნიშნა, რომ მომავალში ახალი ხელოვნება მხატვარი და მხატვრობა გახდება მთავარი წარმოება. ეს თქვა, თორემ რა იგულისხმბა სულ სხვა თემა. საერთოდ რუსები ერთს ამბობენ ვენეციაში და მეორეს აჩვენებენ (ისე როგორც არა მხოლოდ ვენეციაში და არა მხოლოდ არტისტულ სივრცეში). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ირინა კორინა, რომელმაც ძველი, საბჭოთა პერიოდში მოღვრილი სამზარეულოს მაგიდების რეზინის გადასაფარებლებისგან დეკორატიული შადრევანი გააკეთა და თქვა, რომ ესთეტიკურ ობიექტთან გვერდს დასაქმე, არადა ხაზი გაუსვა იმას, რომ თანამედროვე კულტურის ობიექტები მათთან ძველი მატერიით არის შეთხზული და შეკერილი. ორატორიებისგან შორს არასდროს არის ჩეჩენი, ჩემს მიერ უკვე ნახსენები მხატვარი. ალექსეი კალიმა ჩეჩენური გარეგნობით და ატრიბუტებით დაიარება. ნამუშევრებშიც, რომლებსაც კედლებზე ხატავს. ეს მისი პოლიტიკური ფრესკებია, რომლებსაც თითქმის ყოველთვის ულტრაიისფერი საღებავებით ხატავს, შესაბამისად ისინი მხოლოდ სიბნელეში ჩანს და ხატავს მხოლოდ ჩეჩენებს. ქალებს, სისხლიან ბავშვებს, როგორც ამბობს მათ, რომლებიც აღარ არიან...

პავილიონში კალიმას ერთი დიდი ოთახი აქვს დათმობილი, ისმის სტადიონისთვის დამახასიათებელი ყიჟინი, კედლებზე შეჯიბრის მაყურებლები ჩანან, შავთბიანები, დალურჯებულიები, ისინი ყვირიან, ხმაურობენ, მაგრამ მათ სიცოცხლეს აქეთიქიდან სხვა ადამიანები კეტებით და ნიხლებით ახშობენ. უცრად სინათლე ინთება, ულ-



ალექსეი კალიმას "რევოლუციური ტალღა".



ანდრეი მოლოდკინის "წითელი და შავი".

ტრაიისფერი საღებავი ძალას კარგავს და ადამიანი სიცარიელეში აღმოჩანს თავს. საგარაუდოდ სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, მაგრამ ზოგადად სხვებისგან გამორჩეული რუსული პროექტის ფარგლებში ჩეჩენი მხატვრის ნამუშევარი ასევე გახლდათ გამორჩეული. აღსანიშნავია, რომ კურატორი სვიბლოვა და თავად მხატვარი ხმა-მალა ამ ნამუშევარს ბევრად ეფემერული ტექსტებით განმარტავენ, თუმცა მერწმუნეთ, ნამუშევრები ზუსტი კონტექსტით მიდის დამთავლიერებლად და მთავრობის ფაქტორით ოლგა სვიბლოვას ფარულ პროტესტანტიზმში ეჭვი არავის ეპარება. ისე როგორც მის პროფესიონალიზმში...

თუმცა, ყველაზე დიდი აჟიოტაჟი კალიმას არ გამოუწვევია. კალიმას პროტესტი, ისე როგორც დანარჩენებისა სიბნელესა და ორატორიებისაში ლივლივებს. რასაც ვერ ვიტყვით ანდრეი მოლოდკინზე, ყველაზე პლაკატური და ყველაზე ხმა-მალა ნამუშევრის ავტორზე. დაარქვა "წითელი და შავი", სივრცეში შეიტანა პლასტიკატის გამჭვირვალე ყუთები, შიგნით მოთავსებული ნიკე სამოთრაციელის პატარა გამჭვირვალე ფიგურებით, ამ ყუთებს მიუერთა მილები, მილები ერთი მხრივ ძრავებს, მეორე მხრივ სისხლისა და ნავთის წყაროებს დააკავშირა. ძრავებმა სისხლი და ნავთი მილებში ამოძრავეს, ფეთქვის ხმა, უფრო სწორად გულის ფეთქვის ხმა და მილებში, ანუ სისხლძარღვებში მათი ცირკულაციის ხმაური ყველას გვესმის. ამ პროცესში სამოთრაციელის სხეულები შიგნიდან ხან წითლდებოდა, ხანაც შავდებოდა, მათში ხან სისხლი იღვრება, ხანაც ნავთი. ამით როდი მთავრდება. ანდრეი მოლოდკინი მინც მხატვარია. ჩაბნელებულ ოთახში სადაც მხოლოდ გამჭვირვალე ყუთები, მილები, ძრავები ჩანს და წითელი სითხე იატაკზე "დარბის", ერთი უზარმაზარი კედელი ვიდეოპროექციას უჭირავს.

უზარმაზარ კედელზე უზარმაზარი სამოთრაციელის სხეული ჩანს, თანაც გასამებული. ეს არის ყუთებში მოთავსებული სკულპტურების გამოსახულება, რომელიც ავტომატურ რეჟიმში გადადის ობიექტიდან კედელზე გაზრდილი ფორმატით. კედელზე ვხედავთ სხეულებში წითელი და შავი სითხის ცვლას. ეს ყველაფერი სამსხვერპლოს ჰგავს და ამავდროულად უზაროდ მომხიბვლელია, ძალიან მხატვრულია.

ანდრეი მოლოდკინი, ყოველთვის მეტისმეტად გასაგები მხატვარი გახლავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მისი ნაკლი არ გამხდარა. რაც შეეხება ნამუშევრის ავტორისულ განმარტებას: მიუხედავად იმისა, რომ სვიბლოვამ სისხლისა და ნავთობის ურთიერთმიმართება ზოგადისტორიულ პლანში განაზოგადა, პავილიონის გახსნის დღეს მოლოდკინმა კედელზე დაწერა "საქსი" - რუსულმა პრესამ იქვე იტილიკა მხატვარზე, ეს სისხლი ღარიბმა მოსკოველებმა ჩააბარეს და არა ჩეჩენებმა, იმაზეც იცინეს, რომ პავილიონის გახსნის შემდეგ კულტურის მინისტრის სურვილით ეს ტექსტის ჩამოხსნათ, მე კი მგონია, რომ მათ მინც ბევრი თქვეს, თქვეს იმაზე მეტი, ვიდრე მათ საკუთარი გენეტიკური ამბიციები საშუალებას აძლევთ და ის რაც თქვეს და გააკეთეს პავილიონის გახსნის დღეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩასულებმა ვნახეთ.

როცა აქედან პირველი "იმეილები" მივწერე ქართველ მხატვრებს, მეგობრებს, მითხრეს, რომ ჩემგან გაუკვირდათ რუსული პროექტის ასეთი დადებითი შეფასება და ყველამ ერთი ოდნავ ცინიკური შეკითხვა დამისვა - "მინც რითი მოიხიბლეთ?", ნვრილი არგუმენტები ბევრი მქონდა, კარგი ორგანიზების შესახებ, პავილიონის ინტერიერის რეორგანიზების შესახებ (სპეციალურად აიყვანეს დიზაინე-

რი, რომელმაც ინტერიერი 7 მხატვრისთვის მობილურ სივრცედ აქცია), აღენიშნავდი იმასაც, რომ მათი 7 ნამუშევარი მსუყე და მრავალფეროვანი იყო დატვირთვით და მხატვრული თვალსაზრისითაც შთამბეჭდავი იყო თითქმის ყოველი და კიდევ იმას, რომ პროექტი სხვადასხვა მიმართულების ხელოვნებას აერთიანებდა, სცენოგრაფს, სკულპტორს, ვიდეოარტისტს, გრაფიკოსს და ა.შ. დღეს კი ვიცი ყველაზე მეტად რამაც გამოცოცხლა - რუსი მხატვრების შინაგანმა დულიდმა, განცდებმა, წინააღმდეგობრიობამ. მათ აშკარად იციან, რომ სისხლის წყურვილი და ძალადობა მათი ნაწილია, იციან და საკუთარ ამ წყურვილს გამოხატა. შინაგანი ბრძოლა და შეკითხვები საკუთარ თავთან კი ისაა, რაც მათ ხელოვნებას ცოცხალსა და საინტერესოს ხდის. ამავდროულად მათ ხელოვნებას მუდამ გასდევს პოლიტიკური კონტექსტი და რა რთული აღსაქმელიც არ უნდა იყოს მათი კონტექსტი ჩემთვის, უნდა ვაღიარო რომ ეს ყველაფერი ერთად ნამუშევრებში გარკვეულ სიღრმეებს და ინტრიგას ბადებს. რუსულ პროექტზე გაუთავებლად შეიძლება საუბარი და ეს უკვე მათი წარმატებაა.

დაბოლოს, ვენეციიდან ბოლოჯერ ვწერ და ამიტომაც ის უნდა ვთქვა, რაც აქამდე არ მითქვამს. ყველაზე დიდი შეცდომა რაც ჩვენ წელს ვენეციაში დავუშვით არის ის, რომ ვერ შევძელით მისი, როგორც სივრცის და ღიაობის გამოყენება, ვერ შევძელით ვერც ჩვენი ტკივილის, ვერც ჩვენი ხედვის, სურვილების, მიზნების, ვერც ჩვენი პრინციპების და თუნდაც ჩვენი წყნის ჩვენება. ჩვენ შეიძლება ერთმანეთი ვაკავრტიკეთ (სოციალური ფილმებით), მაგრამ ამით მხოლოდ ის ვთქვი, თუ რა ძალიან სუსტია ქართული სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო შეგნება და ეკონომიკა, ჩვენ უცხოელთან ვერ ვილაპარაკეთ მთავარზე... ჩვენ ვერ გავხდით თავად ქართული რევოლუციონარი ადევკატორნი, ჩვენში ხომ ომია, საქართველო პირდაპირი მნიშვნელობით სისხლისგან იცლება ევროპა კი ნელა-ნელა ეგუება ამას. ჩვენ სათქმელი ვაქვს უამრავი, მაგრამ ვენეციაში ეს კონტექსტი არ გვექონია, ვენეციაში ვდუმდით და გვიწოდდა ზოგადად ევროპული არტისადმი ადევკატორნი გავმხდარიყავით, რატომ? - საქმე ინფანტილზმშია და იმაში, რომ მოვლენების ანალიზი გვეზარება, მუდამ გვაგვიანდება, ანდა ამ მოვლენებზე მალა ვდგებით და ვრჩებით ბავშვებით გა-მოუცდელები, ტკივილისგანაც კი დაცილები. შესაძლოა კიდევ გამოჩნდეს პრესა, რაიმე ტიპის რეზონანსიც, სადაც საუბარი იქნება ქართულ პავილიონში ნაჩვენები ვიდეოარტის დახვეწილობაზე, ლაკონიზმზე, მაგრამ ასეთი რეზონანსი ექნება არაერთს... მთავარი და ყველაზე მტკივნეული კი ჩემი აზრით სულ სხვა რამეა: ვენეციის ბიენალეს სამთავიანი მართონი ავგისტოს ომის ერთი წლისთავს ემთხვევა, მაგრამ ქართულ პავილიონში მოსული დამთავლიერებელი არა თუ ჩვენი ისტორიული გამოცდილებით, არამედ ჩვენი დღევანდელი ინსპირირებულსაც კი ვერაფერს ნახავს და ვერაფერს იგრძნობს.

ვენეცია
2009 წლის 9 ივნისი



ნომინაცია წლის საუკეთესო პროზაული კრებული

1. გურამ მეგრელიშვილი, მრავალჯერადი ბოთლები (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. მაკა მიქელაძე, წეროს ჯვარი (სიესტა)
3. გივი სულაკაური, თამაში რევოლუციით (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. არჩილ ქიქოძე, მყუდრო (საარი)
5. გელა ჩქევიანი, დაუმთავრებელი ამბავი (დიოგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო პოეტური კრებული

1. დალილა ბედინიძე, ფიქრიდობა (სიესტა)
2. ბათუ დანელია, MIRABILIS VITA (ინოვაცია)
3. გიორგი ზანგური, წიგნი (შემეცნება)
4. გიორგი მირზაშვილი, ლექსები (სიესტა)
5. მაკა მიქელაძე, ბარათი (სიესტა)
6. ჯუანშერ ტიკარაძე, უკუქცევა (დიოგენე)
7. ნიკა ჯორჯანელი, სუნთქვა ხუთისას (დიოგენე)
8. ტარიელ ხარხელია, მინდვის ფსალმუნები (ეროვნული მწერლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო რომანი

1. ლაშა ბუღაძე, კარიკატურისტი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. თონა დოღენჯაშვილი, მემფისი (სიესტა)
3. აკა მორჩილაძე, მესაიდუმლის ქაშარი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
4. გურამ ოდიშარია, პრეზიდენტის კატა (უნივერსალი)
5. დავით ქართველიშვილი, ახალი წიგნი (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
6. დათო ჩხლაძე, ფემინინე (სიესტა)
7. თამაზ ჭალაძე, ბრევიელის მთვარე (პეგასი)

ნომინაცია წლის საუკეთესო პიესა

1. ლაშა ბუღაძე, ნაფტალინი (წიგნის სახელოსნო)
2. ირაკლი სამოსონი, ყოფილების სარეცელი (ყურნ. "ჭორხი", N5, 2008)
3. ბასა ჯანიაკაშვილი, სულიკო (სიესტა)

ნომინაცია წლის საუკეთესო თარგმანი

1. შალვა ბერიძე, რობერტ მუხილის "უთისებო კაცი" (დიოგენე)
2. მანანა გიგინეიშვილი, დიდება შენდა (პეგასი)
3. გიორგი ეიზენშტილი, დანიელ ტენაკის "ძალი, ძალი" (ავორა)
4. მაგალი თოდუა, სპარსული პოეზიის შედევრები (უნივერსალი)
5. დავით კახაბერი, ანდრე ჟიდის "ყალბი ფულის მჭრელი" (ინტელექტი)
6. ასმათ ლეკიაშვილი, ემილი ბრონტეს "ქარიშხლიანი ულტრახილი" (არტეტი)
7. ირმა რატიანი, 100 უძველესი იაპონური ლექსი (სიესტა)
8. გიორგი ქაჯაია, ვალდის სალუსტიუს კრისპუსის "თხულებები" (ლოგოსი)
9. თეა შურღაია და შვია ბურჯანაძე, თანამედროვე სპარსული პროზა "14 სვედიანი ამბავი" (უნივერსალი)
10. ზაზა ჭალაძე, კენ კიზის "გუგულის ბუდეზე სხვა გადფრინდა" (დიოგენე)
11. ირაკლი ჯავახიძე, სერგეი დოვლატოვის "ჩემოდანი" (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
12. პაატა ჯავახიშვილი, მილან კუნდერას "გამოსათხოვარი ვალსი" (დიოგენე)

ნომინაცია წლის საუკეთესო კრიტიკა. ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. ლევან ბრეგაძე, მოთხრობები ლიტერატურაზე (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
2. რეზო ესაძე, ბიპლანი - კინორეჟისურის შესახებ (კენ-ტავრი)
3. გოგი ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (ეროვნული მწერლობა)
4. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა
5. ზაზა ფირალიშვილი, ფრაგმენტული მედიტაციები იერონიმუს ბოსხის მხატვრობის შესახებ (კავკასიის საზ. სტრატეგიათა ინსტიტუტი)
6. ლამარა კიკლაშვილი, სახსოვარი (თეთრი გიორგი)
7. გიორგი ლობჯინიძე, მუჰამედის ცხოვრება (კავკასიური სახლი)
8. დათო ტურაშვილი, ჯინსების თაობა (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ნომინაცია წლის საუკეთესო დებიუტი

1. დიანა ანფიმიადი, შოკოლადი (სიესტა)
2. ხათუნა თავდგირიძე, Homo Totus (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)
3. ნიკა თევზაძე, დეტექტივის თავგადასავალი (ზეკარი)
4. ლევან კაველი, ინდონეზი (სიესტა)
5. გიორგი კეკელიძე, ოდები (სიესტა)
6. ლადო კილასონია, ღობე (საარი)

სპორტი

ფესტივალი რაგბის პოპულარიზაციისთვის

თაა დოლიძე

ბოლო წლებში თბილისში რეგულარულად ტარდება რაგბის ფესტივალი. თორმეტკაცა გუნდები სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის ყოველწლიურად ერთმანეთს ეხვეწებიან. გამოწვევის არც წლებიდან დაიწყო, თბილისის 12 გუნდი მიხედავს მესხის სახელობის მოედანზე ფესტივალის ფარგლებში დაუპირისპირდა ერთმანეთს.

ფესტივალში მხოლოდ 1995-96 წლებში დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ. შეიცვალა ტურნირის ფორმატი და, ამ ასაკის შესაბამისად, თბილისური კლუბები - "აკადემია", "ნიქარა", "არმაზი", "ხიზანი", "რაინდები", "ჯიქები", "თსუ", "ყოჩები", "ლელო", "დილომი", "შევაკადენი" და "ხულიგანა" შეიკრიბნენ. მონაწილეობით წარდგინეს მასპინძლის ნინაშვი.

ფესტივალი იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ თანატოლების თამაშს დაესწრო მზრუნველობამოკლებული 150-მდე ბავშვი. იდეა თბილისის



პოპულარიზაციის ფორმატი

რაგბის კავშირისა და მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

"იმედი გვაქვს, რომ ამ ბავშვებს რაგბით დავაინტერესებთ. მთავარი ხომ არა შედეგი, არამედ მათი სპორტით დაკავებაა. სექტემბრიდან იგეგმება ჩვენი მწვრთნელების მივლინება ბავ-

შეთა სახლებში. დიდი იმედი გვაქვს ჩვენი სპონსორების, რომელთა დახმარებით ბავშვებს დაუფრთხილდეთ მისიურები და გაუზიარებინდეთ ტკბილეულით", - ამბობს რაგბის კავშირის პიარ-მენეჯერი გიორგი მამარდაშვილი.

ტურნირის ჩატარებაში თავისი წვლილი შეიტანეს ქართულმა კომპანიებმაც. "თოლია", "ნატახტარი", შპს "ენგადი" (წყალი მარგებელი) და კომპანია "მითანა" რაგბის ფესტივალის ოფიციალური პარტნიორები არიან.

ოთარ ბაბელია - ახალგაზრდულში

ფედერაციის კონსპირაციული გადანაცვლები

მიხეილ აბაიშვილი

არავითარი კომენტარები, არავითარი საჯარო განხილვა - ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უგულვალური პოზიცია დაიკავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეფობამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებით. სპორტულ მედიას ისღა დარჩენოდა, სხვადასხვა შესაძლო კანდიდატურაზე, ასე ვთქვათ, ემარჩილა, თუმცა, არც ეს გაგრძელებულა დიდხანს. ყველაფერი სწრაფად და საიდუმლოდ მოხდა: ორი დღის წინ, 16 ივნისს, ფედერაციის პრესსამსახურში ვიკითხე, თუ როდის იგეგმებოდა აღმასკომის სხდომა, რომელზეც უნდა განხილულიყო 21 წლამდელებში მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. როგორც გაიკვავა, სფფ-ის პრესსამსახურიდან მივიღე ინფორმაცია, რომ გაიმართა ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნელი დაუნიშნეს და ამის თაობაზე

პრესკონფერენცია 17 საათზე გაიმართებოდა. რატომ გახდა საჭირო ასეთი კონსპირაცია, ჩემთვის უცნობია. ბრიფინგიდან ცნობილი გახდა, რომ აღმასკომმა ერთადერთი კანდიდატურა განიხილა და ბევრი სჯავა-ბაასის გარეშე დაამტკიცა კიდევ. მომდევნო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უხელმძღვანელებს ოთარ ბაბელია, რომლის სანინააღმდეგო შეიძლება არავის არაფერი ჰქონდეს. თუმცა, თავად დანიშვნის ფორმა და პროცესის გასაიდუმლოება, რბილად რომ ვთქვა, გასაკვირია. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდული ნაკრები არა მხოლოდ ეროვნული გუნდის უახლოესი ცვლაა. ნაკრები, რომელიც გაბეულია ჩაიზარა, ამავე დროს ოლიმპიური გუნდიცაა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ლონდონის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში. ხოლო ისეთი ფართი გადანაცვლებები, როგორც გუშინ მიიღეს და ადრეც მიუღიათ, როგორც გამოდგომა ქართულ ფეხბურთს, თუნდაც გასულ ახალგაზრდულ შესარჩევ ციკლში გამოჩნდა, როცა ჩვენმა 21 წლამდელებმა რამდენიმე გამანადგურებელი მარცხი იწვნეს. ძალიან მინდა, რომ ოთარ ბაბელია მსგავსი კატასტროფებისგან დაზღვეული

იყოს, მაგრამ გუშინდელმა პრესკონფერენციამ ამაში ვერ დამარწმუნა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დამქირავებელ ფედერაციას და დასაქირავებელ გაბეულიას შორის ჯერ არავითარი საკონტრაქტო პირობა შეთანხმებული არ არის. "კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ გვაქვს და ჩემთვის უცნობია, რა პირობებს მთავაზობენ. როგორც ვიცი, კონტრაქტი უახლოეს დღეებში გაფორმდება", - ასე უპასუხა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა კონტრაქტთან დაკავშირებულ შეკითხვას, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობას და გაბეულიას შორის სამომავლო კონკრეტულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით შეხვედრაც კი არ შემდგარა და შეთანხმება, უკეთეს შემთხვევაში, სატელეფონო საუბარში შედგა. პრესკონფერენციაზე ნათლად გამოჩნდა, რომ გვემა, რომლის მიხედვითაც აპირებს გაბეულია მუშაობას, ჯერ ჩამოყალიბების სტადიაშიც კი არ არის. არც დაუმაღავს, რომ პოსტის შეთავაზება მისთვის მოულოდნელი იყო. სავსებით ვეთანხმები ბატონ ოთარს იმაში, რომ ასეთ ვითარებაში ეს დანიშვნა, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, მისალოცი ნამდვილად არ არის და

უფრო საკუთარი ავტორიტეტის სასწრაფო შეგდებაა, ვიდრე საქმე, რომლისგანაც სიამოვნება და დიდი სარგებელი უნდა მიიღო. "ურთულესი ჯგუფი გვყავს. ფავორიტებად შევიცარია და თურქეთს ვთვლი. ახალგაზრდული ნაკრების მთავარი დანიშნულება ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელების მომზადებაა. ასე რომ, იმ მიზნის მისაღწევად ვიბრძობებ, რის საშუალებასაც დარჩენილი რესურსი მოგვცემს. თუმცა, ეროვნულმა გუნდმა ამ ასაკის ყველა საუკეთესო ფეხბურთელიც რომ წაიყვანოს, ჩვენ მაინც ჯგუფიდან გასვლაზე უნდა ვიფიქროთ და ამისთვის ძალა არ უნდა დავზოგოთ", - მიაჩნია ოთარ გაბეულიას, რომელმაც ბრიფინგზე რამდენჯერმე ახსენა თურქეთი და შევიცარია, მაგრამ კონკურენტებში კიდევ ერთი ძლიერი მეტოქის - ირლანდიის დასახელება რატომღაც გამოჩნდა. თუმცა, ეს უფრო მოულოდნელი დანიშვნის ბრალი მგონია, ვიდრე არაკომპეტენტურობის. სექტემბერში ახალგაზრდული ნაკრები შესარჩევ ტურნირში ჩაებმება. ოთარ გაბეულიას გუნდს ჯგუფიდან გასვლისთვის მეტოქეობას გაუწევინ ირლანდიის, შევიცარიის, თურქეთის, სომხეთისა და ესტონეთის ნაკრები გუნდები.

"ბარსელონა" ფეხბურთელებით გაძლიერებას აპირებს

კატალონიური "ბარსელონას" თავკაცმა ხუან ლაპორტამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებს.

"ჩვენ რამდენიმე მოთამაშე ვაპირებთ გაძლიერებას. ისინი მაღალი კლასის მოთამაშეები არიან, მაგრამ მათში დიდი თანხის დახარჯვა არ გვინდა. შევეცდებით, კრიზისის დროს მაგალითი მივცეთ ყველა გუნდს. ყველაფერს გადავკეთებთ იმისთვის, რომ შემდეგი სეზონისთვის გაძლიერებული შემადგენლობა გვყავდეს", - განაცხადა ხუან ლაპორტამ.

ვინ დატოვებს "რეალს"?

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, შეიძლება იფიქრო, რომ "რეალის" ახალი პრეზიდენტი მხოლოდ ვარსკვლავების ყიდვით არის დაკავებული, თუმცა მთლად ასე როდია. ყიდვასთან ერთად პერესი ყიდის კიდევ. მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც გუნდს დატოვებენ.

პერესის "შავ სიაში" ათი ფეხბურთელი მოხვდა: გაბრიელ ჰაინცე, კრისტოფ მეცელდერი (ორივე მცველი), რაფაელ ვან დერ ვაარტი, ვესლი სნეიდერი, როსტონ დრენტი, არიენ რობენი, მამადუ დიარა (ყველა ნახევარმცველი), კლას-იან ჰუნტელაარი, რუუდ ვან ნისტელროი და ხაიერ სავიოლა (ყველა თავდამსხმელი). მადრიდელთა ხელმძღვანელებს ფეხბურთელთა გასხვისებით იმ თანხის (150 მილიონი ფუნტი) ანაზღაურება სურთ, რაც კაკასა და რონალდუს შეძენაში დახარჯეს. "რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ უკვე დაადასტურა, რობენისა და სნეიდერის გადაადგილების სურვილი რამდენიმე კლუბმა გამოთქვა.

ბენიგესის პირველი შენაძენი ჯონსონი იქნება

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში რაფა ბენიტესის პირველი შენაძენი იქნება ინგლისის ნაკრებისა და "პორტსმუთის" 24 წლის მცველი გლენ ჯონსონი, რომელიც თავის დროზე "ჩელსის" თამაშობდა.

"ჩელსის" ფეხბურთელის დაბრუნება ენადა, ხოლო "სიტი" მის ყიდვას ლამობდა, თუმცა გლენმა თავად აირჩია "ლივერპული". თუ ბრიტანულ მედიას დაუფრთხილებთ, რამდენიმე დღეში მერსისაიდულ კლუბთან კონტრაქტსაც გააფორმებს. The Guardian-ის ინფორმაციით, ჯონსონი ერთ-ერთია იმ სამ ფეხბურთელს შორის, რომელთა შეძენა რაფაელ ბენიტესმა კლუბის ხელმძღვანელებს მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში სთხოვა. იმავე გამოცემის მტკიცებით, მერსისაიდელები "პორტსმუთს" მცველის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას - 18.5 მილიონ ფუნტს გადაუხდინა.

კრაუსს გერმანიის ჩემპიონი ელის

ინგლისის ნაკრების 28 წლის ფორვარდი პიტერ კრაუსი შეიძლება "პორტსმუთიდან" გერმანიის ჩემპიონ "ვოლფსბურგში" გადავიდეს. "ვოლფსბურგის" საქმეთა მმართველმა იურგენ მარბახმა ადგილობრივ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ კლუბი მოლაპარაკებებს მართავს სამ თავდამსხმელთან. მართალია, მან კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავა, მაგრამ გერმანულ ჟურნალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მოსკოვის "ცსკას" ბრაზილიელ მეგობრულ ვაგნერ ლავსა და "ჰამბურგის" ხორვატ მოიერიშე მლადენ პეტრიჩთან ერთად მარბახი ამ სამში სწორედ კრაუსს გულისხმობდა.

ჭერარდი 2013 წლამდე აპირებს თამაშს

"ლივერპულია" და ინგლისის ნაკრების ლიდერმა სტივენ ჯერარდმა ბრიტანულ მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულებას 2103 წელს აპირებს. სწორედ ამ წელს იწურება იმ კონტრაქტის ვადა, რომელიც ჯერარდსა და "ლივერპულს" აკავშირებთ.

"როდესაც "ლივერპულთან" ხელშეკრულების ვადა ამომწურვება, 33 წლის ვიქნები. ვერ გეტყვით, მექნება თუ არა მაშინ თამაშის გაგრძელების სურვილი. იმედი მაქვს, კარიერის განმავლობაში მხოლოდ ერთი გუნდის რიგებში თამაში მომიწევს. არ მინდა იმაზე ფიქრი, რომ მომავალში, შესაძლოა, სხვა კლუბის ღირსება დავიცვა. კარიერაში ორჯერ ახლოს ვიყავი სხვა გუნდში გადასვლასთან. 2005 წელს "ლივერპული" მძიმე მდგომარეობაში იყო, ხოლო "ჩელსი" ჩემს მიმართ ინტერესს იჩენდა. რთულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ უკან რომ ვიხედები, ვხვდები, რომ მაშინ სწორი არჩევანი ვაკეთე, რაც მემამყება", - განაცხადა ჯერარდმა.

საა "ვეერტონში" რჩება

ფრანგმა ფორვარდმა ლუის საამ, რომელიც ინგლისურ "ვეერტონში" ირიცხება, თურქულ "ბეშიქტაშში" გადასვლა არ ისურვებს. "არც ერთ გუნდთან არ მაქვს მოლაპარაკება. მინდა გავაგრძელო დევიდ მოიხის ნდობა, რომელმაც შანსი მომცა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ ისურვებს, რომ მის გუნდში ვიყო, "ვეერტონის" დატოვება მაინც ვერ წარმოიადგენია", - ამბობს საა. გასული სეზონი 30 წლის ფრანგ ფორვარდს ტრავმების გამო თითქმის მთლიანად გაუცდა და მომავალ სეზონში "ვეერტონის" ძირითადი ადგილის დამკვიდრებას აპირებს. ტრავმების გამო საამ "ვეერტონში" საკუთარი პოტენციალი სრულად ვერ გამოავლინა. მიუხედავად ამისა, 30 წლის ფეხბურთელი მომავალ სეზონში გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას შეეცდება.

"შალკე" ჩეხი ნახევარმცველით გაძლიერდა

გელზენკირხენის "შალკემ" 1,5 მილიონ ევროდ 19 წლის ჩეხი ნახევარმცველი იან მოვარეკი შეიძინა. გერმანულმა კლუბმა ფეხბურთელთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. მისი ყიდვა "შალკეს" ურჩია ჩეხმა ნახევარმცველმა ირუი ნემეცმა, რომელიც 1993-2002 წლებში კლუბის ლირსებას იცავდა. ეს გელზენკირხენელთა პირველი საახალსეზონო შენაძენია.

ეზუეს სკამზე ჭდომა მოხეზრდა

"არსენალის" ფრანგმა მცველმა ემანუელ ეზუემ შესაძლოა ლონდონური კლუბი დატოვოს. მიზეზი კი ის არის, რომ ფრანგს კლუბში მისი მდგომარეობა არ მოსწონს. ვენგერი ეზუეს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებს. "ფიქრობ, "არსენალში" კიდევ ერთ ასეთ სეზონს ვერ ავიტან. თუ გუნდს დატოვებ, კარიერის გასაგრძელებლად სხვა ლიგას ავირჩევ, რათა საკუთარი შესაძლებლობა ინგლისის გარეთ მოვსინჯო", - ამბობს ეზუე. მოსალოდნელია, რომ ეზუეს გარდა, არსენ ვენგერის ბანაკი ბაკარი სანიამ და თეო უოლკოტმა დატოვონ.

სესკი "არსენალის" დატოვებას არ აპირებს

ესპანელი ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი აცხადებს, რომ მისი უახლოესი მომავალი ლონდონის "არსენალს" დაუკავშირდება. არადა, ორიოდე დღის წინ ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ თუ "ბარსელონიდან" ექნებოდა შეთავაზება, კატალონიურ კლუბში გადასვლაზე უარს არ იტყობდა.

"უახლოეს მომავალში ჩემი კარიერა არ შეიცვლება. "არსენალმა" უკვე განაცხადა, რომ ჩემს გაყიდვას არ აპირებს, რამაც, ცხადია, სიამაყით აღმავსო. თუ ერთხელაც "არსენალს" დაეტოვებ, ინგლისში არ დავრჩები. ყველამ იცის, რომ ესპანურ ლიგაში თამაში მინდა", - ამბობს ფაბრეგასი.

ჭეკოს მომავალი მალე გაირკვევა

თუ სად ითამაშებს მომავალ სეზონში "ვოლფსბურგის" 23 წლის ბოსნიელი მეგოლე ედინ ჯეკო, ეს უახლოეს დღეებში გაირკვევა.

მისი გადაბირება იტალიურ "მილანს" სურს. "კარი ოდნავ გაიღო და ახლა ყველაფერი "ფოლკსვაგენზე" დამოკიდებულია, რომელიც ამ საკითხზე თავის პოზიციას უახლოეს დღეებში ჩამოაყალიბებს, - თქვა მან, - კლუბი უკვე აღარ ამბობს, რომ "მოთამაშე არ იყიდება". როგორც კი გადაწყვეტილებას მიიღებს, "მილანს" მოლაპარაკების დაწყების შესახებ აცნობებს", - თქვა ფეხბურთელის აგენტმა.

ტოტი "რომაში" დაასრულებს კარიერას

მიმდინარე წლის 30 ივნისამდე ფრანჩესკო ტოტი "რომასთან" ახალ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს იმის მაჟინგებელია, რომ რომაული კლუბის უპირობო ლიდერი კარიერასაც რომში დაასრულებს.

ხელშეკრულება, რომელიც 2014 წლამდე გათვალისწინებული, მხარეებმა უკვე შეათანხმეს. მასში არ არის პუნქტი, რომლის თანახმად, ფეხბურთელის ჰონორარი სეზონის განმავლობაში ჩატარებული მატჩებისა და გატანილი გოლებით განისაზღვრება - ტოტის ხელფასი სტაბილური იქნება.

ზენდენს სამშობლოში დაბრუნება არ ხიბლავს

ფრანგული "მარსელის" უკვე ყოფილ ნახევარმცველს ბუდუენს ზენდენს, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, მშობლიურ ჰოლანდიაში დაბრუნება არ სურს.

"თავდადასავლები მიყვარს და ნებისმიერი შემოთავაზების განსახილველად მზად ვარ. იტალიიდან, ინგლისიდან და ესპანეთიდან მომივიდა წინადადებები, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. რაც შეეხება ჩემი "ალკმარის" დაინტერესებას, შემიძლია ვთქვა, რომ ჰოლანდიაში დაბრუნება არ მინდა. შემოთავაზება მაქვს დუბაიდანაც, მაგრამ ვფიქრობ, 32 წლის ასაკში უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობაც შემიძლია", - ამბობს ზენდენი.

ანდრეს ინიესტა: "ფინალს ფეხმოტახილის ვითამაშებდი"

წლევიანდელი სეზონი "ბარსელონასთვის" ფანტასტიკური გამოდგა. კლუბისთვის ამ ისტორიულ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ანდრეს ინიესტამ, რომელიც კატალონიური გუნდის ფანებმა "ჩელსის" კარში გატანილი გოლის შემდეგ "წმინდა ანდრესად" შერაცხეს. ესპანურ გაზეთ "სპორტში" გამოქვეყნდა ინიესტას ინტერვიუ, რომელშიც ფეხბურთელი გასულ სეზონს აფასებს.

ისტორიული ტრიპლეტის მოგების შემდეგ გარკვეული დრო გავიდა. დატკბით წარმატებით?

- ცოტა არ იყოს, მიჭირს შევეგუო იმ აზრს, რომ ასეთი რამ შევძელით. თუმცა ფაქტია, რომ მშვენიერი სეზონი გვქონდა. სულ ვათვალისწინებ ფოტოებს, რომლებზეც ჩვენი გუნდი და სამი მოგებული ჯილდოა აღბეჭდილი, ქუჩაში კი ხალხი მაჩერებს და მილოცავს. ეს მართლაც სასიამოვნოა.

გათვითცნობიერეთ თუ არა, რომ ეს განსაკუთრებული მიღწევაა, რომლის მსგავსი აქამდე კლუბის ისტორიაში არ ყოფილა და შესაძლოა არც გამეორდეს?

- გეთანხმებით, რომ ამის გამეორება ძნელია, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

რას ნიშნავს თქვენთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში?

- ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამ არის. არ გამომართლა - ფინალამდე რამდენიმე ხნით ადრე ტრავმა მივიღე და ფინალური მატჩისთვის ძლივს მოვასწარი გამოჯანმრთელება. ამ თამაშის გამოტოვებას არ დავუშვებდი. ტრავმირებულიც კი ვითამაშებდი.

ფინალამდე ბოლო კვირები როგორ გაატარეთ?

- დარწმუნებული ვიყავი, რომ ვითამაშებდი. კიდევ ვიმეორებ: ტრავმირებულიც გავიდოდი მინდორზე. საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა.

თამაშისას ჩინდა, რომ არ რისკავდით. ამას შეგნებულად აკეთებდით თუ ტრავმის გეშინოდათ?

- რა თქმა უნდა, მესმოდა, რა სჯობდა ჩემი ტრავმირებული კუნთისთვის, თუმცა თამაშისას ეს გავიწყდება. პირადად მე მომეწონა, როგორც ვითამაშე.

ამ ტრავმის გამო მომავალი სეზონისთვის სხვანაირად ხომ არ მოემზადებდით?

- რა თქმა უნდა. ახლა ექიმებს უფრო მეტად დავუჯერებ და ზედმეტად არ გავრისკავ. როცა რაიმე გტკივა, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის კი არა, რა გტკივა, არამედ ის, თუ როგორი ტკივილები განუხებს. ფინალს კი მოტეხილი ფეხითაც ვითამაშებდი.

მაგალითად, მესი ზოგიერთ თამაშს ტოვებდა - ეს მას გამოადგა. მომავალ სეზონში თქვენც იგივეს ხომ არ აპირებთ?

- არ ვიცი, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე უფრო ვარჯიშების მეთოდოლოგიაზე გავა-



ინიესტა კატალონიურად ალაპარაკდა

მახვილებ ყურადღებას. ვფიქრობ, რაც უფრო მეტს ვითამაშებ, მით უფრო კარგ ფეხბურთს ვაჩვენებ, თუმცა ტრავმის მიღების რისკი იზრდება.

როდესაც საშობაოდ ტრავმის შემდეგ დაბრუნდით, თქვენი, რომ ფანები ახალ ანდრეს ინიესტას ნახავენ და ეს სიტყვები ახდა. მომავალ სეზონში კიდევ უფრო კარგად ხომ არ აპირებთ თამაშს?

- რა თქმა უნდა. ჯერ მხოლოდ 25 წლის ვარ და საკუთარი პოტენციალი ბოლომდე უნდა ამოვწერო. ჩემი მიზანია ყოველწლიურად გავაუმჯობესო თამაში და გუნდთან ერთად ტიტულები მოვიგო.

მესიმ თქვა, რომ მომავალ სეზონში გუნდი კვლავ სამ ტიტულს მოიგებს. მოაწერდით თუ არა ხელს მესის ამ სიტყვებზე?

- ღმერთმა ქნას, ასე იყოს. დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონი წარმატებული იქნება.

მომავალ სეზონში ერთ-

ერთი უმთავრესი მიზანი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგება იქნება?

- რატომ მთავარი? ერთ ტიტულზე არ გავჩერდებით. პრიმერა, ესპანეთის თასი, ჩემპიონთა ლიგა.

დავუბრუნდეთ ჩემპიონთა ლიგას. რა იფიქრეთ, როდესაც გასახდელში შუქი ჩაქრა და კინოფილმ "გლადიატორის" კადრები გავიდა?

- ამას არავინ ელოდა და შთამბეჭდავი სანახაობა იყო. თქვენ თქვით, რომ ეს თქვენი საყვარელი ფილმია.

დიხს, ამ ფილმში ყველაფერია.

- თქვენთვის ჩემპიონთა ლიგის გასული გათამაშება

იმითაც განსაკუთრებულია, რომ თქვენი მეგობარი ვიქტორ ვალდესი მის ერთ-ერთ მთავარ გმირად იქცა.

- ჩემპიონთა ლიგის მოგება ერთობლივი შრომის შედეგია. ვიქტორი თავის საქმეს აკეთებდა და სწორედ იმ მომენტში შეძლო ჩვენი გადარჩენა, როდესაც ეს საჭირო იყო. მიხარია, რომ მას "ზამორა" გადასცეს (ჯილდო, რომელიც ესპანეთში სეზონის საუკეთესო მეკარეს გადაეცემა).

ბელეტიმ თქვა, რომ ვალდესი პარიზული ფინალის გმირი იყო და ამჯერადაც ასე მოხდა.

- უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მშვიდად ვთამაშობდით, რადგან კარში ვიქტორი იდგა.

რას გრძნობდით, როდესაც ბარსელონას ქუჩებში თქვენი გამარჯვების აღსანიშნავად მილიონობით ადამიანი გამოვიდა?

- სიამაყის გრძნობას. ამდენ ადამიანს ბედნიერებას რომ მიანიჭებ, ვფიქრობ, გაქვს უფლება იამაყო.

გამარჯვების აღსანიშნავად მონყობილ ზეიმზე კატალონიურად საუბრობდით. თქვენგან კატალონიურს კიდევ მოვისმენთ?

- რომ მინდოდეს კატალონიურად ლაპარაკი, ვილაპარაკებდი. უკვე დიდი ხანია აქ ვცხოვრობ. კატალონიურიც ვიცი, მაგრამ არ მინდა შემეშალოს და უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდე. ვინ იცის, იქნებ მომავალ სეზონში ინტერვიუ კატალონიურადაც მოგცეთ.

შეამჩნიეთ თუ არა, რომ ბოლო ხანს ბავშვები თქვენდამი განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავენ?

- ეს საოცარი შეგრძნებაა და დიდი პასუხისმგებლობაა. როცა იცი, რომ მათთვის სამაგალითო ხარ, შეცდომის უფლება აღარ გაქვს.

სეზონი დასრულდა და მასთან ერთად გუნდი დატოვა თქვენმა მეგობარმა სილვინიომ

- სილვინიო განსაკუთრებული ადამიანია. ჩვენ მართლაც კარგი ურთიერთობა გვაქვს და ამ ურთიერთობას გავაგრძელებთ.

თვლით თუ არა, რომ გვარდიოლა კიდევ დიდხანს უნდა დარჩეს გუნდში?

- გამარჯვებაში თითოეულმა შეიტანა საკუთარი წვლილი, თუმცა ცხადია, მწვრთნელის როლი განსაკუთრებულია.

და ბოლოს, მსოფლიო ჩემპიონატი. 2006 წლის მუნდიალზე თითქმის არ ვითამაშეთ

- მომავალი სეზონი საოცრად მნიშვნელოვანი და დაძაბული იქნება, რომელსაც მუნდიალი დაავიჯებენ. გერმანიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშე. ეს თითქმის არაფერია. მუნდიალი თითოეული ფეხბურთელის ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენაა და მინდა მას სრულ მზადყოფნაში შევხვდე.

ვილია და ტიხოსი - ხმაურიანი ტრანსფერების მოლოდინში

მას შემდეგ, რაც მადრიდის "რეალმა" კაკა და კრიშტიანუ რონალდუ შეიძინა, საფეხბურთო სამყარო მორიგი ხმაურიანი ტრანსფერების მოლოდინშია, მით უმეტეს, რომ საფეხბურთო ბაზარზე, როგორც ჩანს, აზარტული მოთამაშეები გამოჩნდნენ. ფლორენტიანო პერესმა სხვებსაც გაუღვიძა ფულის ხარჯვის სურვილი.

ჯერჯერობით ორ ფეხბურთელზე ღირს ყურადღების გამახვილება - ესპანეთის ნაკრებისა და "ვალენსიას" ფორვარდ დავიდ ვილიასა და "მანჩესტერის" არგენტინელ თავდამსხმელ კარლოს ტევესზე. საჯაროდ, მომავალ სეზონში ორივე შეიცვლის კლუბს.

ვილიას გამო ნამდვილი სატრანსფერო ომია მოსალოდნელი. საქმე ის არის, რომ "ვალენსიას" ფინანსური კრიზისი აქვს. ამის გამო გუნდის მესვეურები მთავარი ვარსკვლავის გაყიდვას უარს არ ამბობენ, თუმცა "ლამურები" ვილიას ისე გაყიდიან, რომ კლუბის ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდეს.

თავდაპირველად ვილიას შექენას "რეალი" ცდილობდა. ფლორენტიანო პერესი 40 მილიონ ევროსაც იხდოდა, მაგრამ "ვალენსიამ" 45 მილიონი ევროს ალბა ისურვა.

გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ საქმეში "მანჩესტერი" და "ბერსელონაც" ჩაერთვნენ. მანკუნინელს კარგი ფორვარდი სჭირდებათ, მით უმეტეს, რომ გუნდს ალბათ ტევესი დატოვებს (ამაზე ქვემოთ გეტყვით). თანაც ახლა "მანჩესტერს" ფუ-



"მანჩესტერი" და "ბარსელონა" ვილიასთვის იბრძვიან

ლი ნამდვილად არ უჭირს. ბრიტანული მედიის ცნობით, სერ ალექს ფერგიუსონი მზადაა ვილიაში 52 მილიონი ევრო გადაიხადოს.

რაც შეეხება "ბარსელონას", მას შემდეგ, რაც ჩაიშალა იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერი, კატალონიელებმა სწორედ ვილიაზე შეაჩერეს მზერა და "ვალენსიას" ფეხბურთელში 50 მილიონ ევროს სთავაზობენ.

"მადრიდის" "რეალთან" მორლაპარაკება ჩიხში შევიდა. ვილია "რეალში" არ გადავა. ვიცით, რომ მისი შექენა სხვა კლუბებსაც სურთ, თუმცა ოფი-

ციალური წინადადებით ჩვენთვის არავის მოუშართავს. ველოდებით, რა მოხდება უახლოეს დღეებში. კლუბში შექმნილი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ მოგვიწევს ვილიას გაყიდვა", - აცხადებს "ვალენსიას" პრეზიდენტი.

ტევესი "მანჩესტერის" დატოვებას აპირებს. საქმე ის არის, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ტევესი კლუბის ხელმძღვანელებს სთხოვდა, ახალ კონტრაქტზე დავილაპარაკოთო, მაგრამ მას არავინ უსმინა. ახლა კი ტევესი გააფიქტა და კლუბის მესვეურებთან

ალარ სურს საუბარი. ფეხბურთელი სერ ალექს ფერგიუსონის სატელეფონო ზარებსაც კი არ პასუხობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტევესს "მანჩესტერთან" მხოლოდ საიჯარო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ სეზონში არგენტინელი აუცილებლად შეიცვლის კლუბს. მისი შექენა "სიტი", "ჩელსი" და "ლივერპული" არიან დაინტერესებული. ბრიტანულ პრესაში ითქვა, რომ ტევესის შექენის მსურველთა სიაში, ბრიტანულის გარდა, სხვა გრანდებიც არიან.

რანგელოვი "ზორუსიაში" გააგრძელებს კარიერას

მომავალ სეზონში ბულგარეთის ნაკრების 26 წლის თავდამსხმელი დიმიტარ რანგელოვი დორტმუნდის "ზორუსიაში" ითამაშებს. განვლილ სეზონში ფორვარდი "კოტბუსის" ლირსებას იცავდა, თუმცა ამ გუნდმა ბუნდესლიგა დატოვა და რანგელოვსაც კლუბის შეცვლის სურვილი გაუჩნდა. ტრანსფერის ღირებულებამ ერთი მილიონი ევრო შეადგინა. რანგელოვი ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ბალარდინი "ლაციოში" იმუშავებს

რომის "ლაციოდან" წასული დელიო როსის ნაცვლად გუნდის მთავარ მწვრთნელად დავიდ ბალარდინი დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას იტალიური მედია ავრცელებს. ბალარდინი, რომელიც გასულ სეზონში "პალერმოს" თავკაცი იყო, რომაელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქამდე 45 წლის იტალიელ მწვრთნელს, სიცილიური კლუბის გარდა, "სამბედენტეზეს", "კალიარისა" და "პესკარას" თავკაცად უმუშავია.

"პარმამ" ლუკარელი შეინარჩუნა

იტალიის სერია A-ში დაბრუნებული "პარმას" ფორვარდი კრისტიანო ლუკარელი გუნდის შეცვლას არ აპირებს. "გუშინ კლუბის პრეზიდენტს ვესაუბრე საკუთარი მომავლის თაობაზე. დამარწმუნეს, რომ "პარმას" ვჭირდები და ამიტომ გუნდში დარჩენა გადავწყვიტე. ვფიქრობ, შევძლებთ ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას, რომელიც მომავალ სეზონში გასაყვარდნი ზონის სახლოვებსაც კი არ იქნება," - განაცხადა ლუკარელი.

"დეზებს" ტონის ხელფასი ებევრათ

ინგლისური "ტოტენჰემი" მიუნხენის "ბაიერნისგან" 32 წლის იტალიელი ფორვარდის ლუკა ტონის შექენას აპირებდა. თავად ტონის "ბაიერნიდან" წასვლა უნდა. ტრანსფერს წინ არაფერი ედგა, მაგრამ "დეზების" მესვეურებს ის ხელფასი ებევრათ, რომელსაც ტონი "ბაიერნში" იღებდა და, ცხადია, ნაკლებზე არც "ტოტენჰემში" დათანხმდებოდა. ტონის საბაზრო ღირებულება 5 მილიონი ევროს ფარგლებში მერყეობს, მაშინ როცა მისი ხელფასი 5,5 მილიონს შეადგენს! ტონის მიმართ ინტერესს სტამბულის "ფენერბახე" და "ბარსელონაც" ამჟღავნებენ და იტალიელს იქნებ ერჩიოს კიდევ რომელიმე მათგანში გადასვლა, რადგან მას შემდეგ, რაც "ბაიერნმა" "შტუტგარტისგან" 30 მილიონ ევროდ 24 წლის მარინო გომესი იყიდა, ძირითად შემადგენლობაში მას ადგილი გარანტირებული აღარა აქვს, რაც, თავის მხრივ, 2010 წლის მსოფლიო პირველობაზე მოხვედრის პერსპექტივას უუარესებს.

რენსინგმა ვარჯიში განაახლა

"ბაიერნის" 25 წლის მეკარემ მიხაელ რენსინგმა საფეხბურთო არდადეგები თანაგუნდელებზე ორი კვირით ადრე შეწყვიტა და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. "უკვე ორი თვეა, კარში არ ვმდგარვარ. ამიტომ ბურთთან შეხება ძალიან მემამა," - თქვა რენსინგმა, რომელმაც აპრილში ჯერ "ბაიერნის" პირველი მეკარის სტატუსი დაკარგა, ხოლო შემდეგ თითის ტრავმამ მიიღო. რენსინგის მიზანი ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბრუნებაა და ვარჯიშიც სხვებზე ადრე ამიტომ განაახლა. მისდა ბედად, "ბაიერნს" არ გამოუვიდა გელზენკირხენის "შალკედან" 21 წლის მანუელ ნოიერის გადაბირება, თორემ მომავალ სეზონში მას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ ასცდებოდა.

"უიგანს" მარტინესი ხელმძღვანელებს

ინგლისური "უიგანის" მთავარ მწვრთნელად 35 წლის ესპანელი რობერტო მარტინესი დაინიშნა. მარტინესმა, რომელიც ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მწვრთნელად ითვლება, კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჩემპიონლიგის "სუონსი" ესპანელ სპეციალისტს მას შემდეგ შეელოა, რაც "უიგანს" საკომპენსაციო თანხაზე მოელაპარაკა.

რიბერი კაკას სჭობს

ასე ფიქრობს მიუნხენის "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი, რომელმაც საკუთარი მოსაზრება "კიკერთან" საუბარში გამოთქვა. "კაკა რიბერიზე სუსტია და ამ დროს მასში 70 მილიონი გადაიხადეს," - თქვა ჰიონესმა, რითაც მადრიდის "რეალის" მესვეურებს მიანიშნა, თუ რიბერის შექენა გსურთ, ჯიბეზე ხელი გაიკარით და სათანადო თანხა გადაგვიხადეთო. ამას წინათ ჰიონესმა თქვა, რომ თუ მას რიბერის სანაცვლოდ მხოლოდ 40 ან 50 მილიონს შესთავაზებენ, ის ტელეფონის ყურმილს არ აიღებს. მოგვიანებით კი - საგანგებოდ "რეალის" გასაგონად - მან ესეც დაამატა: "რიბერის შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგმართავთ, თუ ვინმე მზად არის, სიგიჟე ჩაიდინოს." სიგიჟეში ალბათ 65 მილიონ ევროზე მეტის გადახდა იგულისხმება, თუმცა "რეალი" მზადაა ასეთი სიგიჟისთვის - ამ კლუბმა ხომ რონალდუში 94 მილიონი გადაიხადა. თუმცა, ღირს თუ არა რიბერი ამდენი, ძნელი სათქმელია.

ადიარაით კლიჩკო!

კრივის მსოფლიო ორგანიზაციისა (WBO) და ფედერაციის (IBF) ჩემპიონის ვლადიმერ კლიჩკოს მწვრთნელს ემანუელ სტიუარდს იმედი აქვს, რომ მალე ამერიკელები ისევე ადიარებენ მის უკრაინელ შეგირდს ვლადიმერ კლიჩკოს, როგორც ეს ბრიტანელი ლენოქს ლუისის შემთხვევაში იყო. არადა, ამერიკელები მძიმეწონოსანთა ეშელონის სათავეში საკუთარი თანამემამულეების ყოფნას არიან შეჩვეულნი. იმისთვის, რომ სტიუარდის უკრაინელი შეგირდი ამერიკაში თვალში მოუვიდეთ, უმცროსმა კლიჩკომ რამდენიმე გამარჯვება უნდა მოიპოვოს დღემდე ნაუგებელ მოკრივეებთან, მათ შორის უზბეკ რუსლან ჩაგაევთან, რომელთანაც 20 ივნისს გელზენკირხენის საფეხბურთო სტადიონზე შეერკინება ელის.

"კრივის ამერიკელი გულშემოტიკი პერსონალია, რომ ამერიკა აკონტროლებდა მძიმე წონას. ეს ტრადიცია ლენოქს ლუისმა შეცვალა, - "ფრანს პრესთან" საუბარში ამბობს სტიუარდი, - კარიერის დასასრულს, მათ, როგორც იქნა, ადიარეს ლუისი. მიუხედავად ამისა, ამერიკელები მაინც არ ადიარებენ იმას, რომ დღეს ევროპელი მძიმეწონოსანები აკონტროლებენ ამ წონას.

ვლადიმერმა ამერიკელებზე ჯერ კიდევ ვერ მოახდინა შთამბეჭდავი ეფექტი. ერთადერთი, რაც მას სჭირდება, ის არის, რომ გამანადგურებელი ნოკაუტი აგემოს, ვთქვათ, კრის არეოლისა და ალექსანდრ პოვეტკინის მსგავს მოჩხუბრებს. აი, ამის შემდეგ ამერიკა მიიღებს ვლადიმერს".



კლიჩკო და ჩაგაევი 20 ივნისს იჩხუბებენ

პოპულარულმა ამერიკულმა ტელეარხმა HBO-მ ვლადიმერ კლიჩკოს 20 ივნისის მატჩის ტრანსლირებაზე მას შემდეგ თქვა უარი, რაც შეიტყო, რომ უკრაინელის მეტოქე იქნებოდა რუსლან ჩაგაევი და არა ბრიტანელი დევიდ ჰეი, რომელმაც უკრაინელთან ჩხუბამდე ზურგის ტრავმა მიიღო.

ამავე ტელეარხის სპორტული დირექციის ხელმძღვანელის როს გრინბერგის თქმით, კლიჩკო-ჩაგაევი მათი ტელეუდიტორისთვის ნაკლებად საინტერესოა - გვირჩევნია, კლიჩკოს სხვა, უფრო საინტერესო ორთაბრძო-

ლისთვის დავზოგოთ ფულიო. გრინბერგს მიაჩნია, რომ ასეთი საინტერესო დაპირისპირება შესაძლოა წლის მეორე ნახევარში გაიმართოს.

თავად უკრაინელი კი ფიქრობს, რომ ამერიკელ სპეციალისტთა აზრი, თითქოს მძიმე წონისადმი ინტერესი დაკარგულია, რამდენადმე გადაჭარბებულია.

"სასაცილოა იმის მოსმენა, თითქოს ამერიკელები მძიმე წონას "მკვდარ" დივიზიონად თვლიან, - "ფრანს პრესთან" საუბარში ამბობს კლიჩკო, - მართალია, მძიმე წონისადმი კრიტი-

კული დამოკიდებულება არსებობს, მაგრამ ეს დამოკიდებულება ოდესმე შეიცვლება. რუსეთის რეგიონში ცხოვრობს დაახლოებით 300 მილიონი ადამიანი, რომლებიც ამბობენ, რომ მათთვის ახლა მნიშვნელოვანი მძიმეწონოსანთა ორთაბრძოლები.

ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თუ მსოფლიოს რომელ რეგიონში ცხოვრობ. 55-დან 46 მეტოქემ ფინალური გონგის ხმა ვერ გაიგო. განა ეს შთამბეჭდავი არ არის? ვფიქრობ, ჩემი ოსტატობა იხვეწება, ხოლო მძიმეწონოსანი ოცდაათი წლის შემდეგ უფრო ძლიერი ხდება".

elite 2009
MODEL LOOK
GEORGIA

**GET TO THE TOP
2009**

დაიჯარი მწვერვალ!
გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
\$325 000

**ჩვენი საქმიანობის პრიორიტატი
ქალის ჯანმრთელობაა !
თავი დაიცავით სარკვე ჯირკვლის
და საშვილოსნოს ავთვისებიანი
სიმსივნეებისგან !!!**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარქვე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარქვე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდება 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდება 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩანერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

Elite Model Look Georgia 2009

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ღინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმუხი, ქაქელია შიფეი, სინდი ქოუფორდი - მათ აიჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიხველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გაემგზავნება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის ჯონსონ-ქეტი სააგენტო ელიტთან და **\$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანი და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლებენ სააგენტო ელიტთან და ნახმატებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კაჩიხას.

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!

მისამართი: ნიკო ნოცაძის №8 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გაჩდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

**დავით ტატიშვილის სამედიცინო
ცენტრის
მანუალური თერაპიის
და სამკურნალო
მასაჟის სპეციალისტი
ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:
ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სკოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;



24 საათი | **The New York Times** | **Weekend**

Articles selected for **24 საათი**

1 მარტიდან

საჯალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით	52 ლარი;
6 თვით	26 ლარი;
3 თვით	13 ლარი;
1 თვით	4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



VARTA-ს ექსკლუზიური დილერი საქართველოში "თეგეტა მოტორსი" გთავაზობთ ავტომატიზაციის ნებისმიერი მოდელის ავტომანქანისათვის. 8 წლიანი რეკურსით და 2 წლიანი საგარანტო მომსახურებით.

VARTA
საქართველოს ქსეტი

დროა შეაჩერო სრულიად განსხვავებულ საზღაუროში

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მკ-12 კმ.
 ☎ 24-44-44 ☎ 24-44-44 (1119)
 E-mail: info@tegetamotors.ge www.tegetamotors.ge

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
დროა აჩერო სრულიად

<i>ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვის შედეგად მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ</i>			
შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებელი	ხელშეკრულების საერთო ღირებულება ლარებში
საერთაშორისო გამოფენაში - Food Ingredients Europe, ქ. ფრანკფურტი, გერმანია, 17-19 ნოემბერი, 2009წ. - მონაწილეობის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა	ხელახალი ტენდერი	ს.ს. "გამოფენების ცენტრი"	99208,89

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 21 მარტის N62 გაზეთ 24-საათში" გამოცხადებულ ტენდერში-ქ.ზესტაფონის ქუჩების ღამის განათების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდ ტენდერში გაიმარჯვა შპს ინტერმონტაჟმა" და მასვე გაუფორმა ხელშეკრულება.

ასევე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიმდინარე წლის 14 აპრილის N82 გაზეთ 24-საათში" გამოცხადებულ ტენდერში მდინარე ყვირილაზე საცალფეხო კიდული ხიდის სამუშაოების შესასყიდ ტენდერში გაიმარჯვა ს.ს. სსგ იმერეთი-1"-მა და მასვე გაუფორმა ხელშეკრულება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მრჩეველის (II კატეგორია) ვაკანტურ თანამდებობაზე (თანამდებობრივი სარგო - 950 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდეგ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირობებში, რომლებიც შეიქმნა განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატის ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე. საკონკურსო-საატესტაციო კომისია კონკურსში მონაწილე კანდიდატს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 27 მაისის N100 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენა (სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა);
- სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საკონკურსო თემატიკა:

- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის N541 ბრძანებულება;
- "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 27

ნომბრის N271 ბრძანება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
